მთავარეპისკოპოსი კლაუდიო გუჯეროტი არალში

თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდები

უდესა და არალის ახალგაზრდები ბაკურიანში

სიბა

№4
აპრილი
2010

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

ქრისტე აღდგა

მანოპელოს წმიდა სახე

ბრწყინვალე აღდგომასთან დაკავშირებით, როდესაც ღვთის ძის – იესოს სიკვდილსა და მკვდრეთით აღდგომას განვჭვრეტთ, გვინდა, თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ქრისტიანული რწმენის ერთ-ერთი, ნაკლებად ცნობილი რელიქვიის – მანოპელოს წმიდა სახის – ისტორიაზე, რომელიც იდუმალებითაა მოცული (იხ. ფოტო გარეკანზე); თავისი ჟანრით იგი უნიკალურია, რამდენადაც უფლის სიკვდილსა და მკვდრეთით აღდგომას ამოწმებს. მრავალი მორწმუნე ქრისტიანი, ალბათ, ვერ უარყოფს, რომ ჩვენამდე მოაღწია სამმა რელიქვიამ (ავთენტურობის მაღალი ალბათობით), რომლებიც ვიზუალურად ამოწმებენ იესოს ვნებას, და აქედან გამომდინარე, ადასტურებენ მკვდრეთით აღდგომასაც. მართალია, ამ სამი უწმინდესი რელიქვიის ისტორია სავსეა ლეგენდებით და ფაქტების აღრევით, თუმცა დიდად ვერ ახდენენ გავლენას მათ ავთენტიკურობაზე. მეცნიერული კვლევების შემდეგ, სამივე მათგანი აღიარებულ იქნა საიდუმლო ფაქტად, რაც ნიშნავს, რომ ადამიანური გონებისთვის შეუძლებელი იყო ამ მოვლენების ახსნა. მრავალი კვლევა მიმდინარეობდა ისეთ სამეცნიერო დარგებში, როგორიც იყო მედიცინა, საფეიქრო მრეწველობა, ქიმია და ოპტიკური ფიზიკა, ბოტანიკა (ქსოვილზე დარჩენილი მცენარეთა მტვრის შესასწავლად), მაგრამ ვერავინ შეძლო მეცნიერულად და რაციონალურად აეხსნა ის ფაქტი, თუ როგორ აღიბეჭდა ქსოვილზე გამოსახულებები. ამ სამი უძვირფასესი რელიქვიიდან უპირველესად უნდა აღინიშნოს ტურინის წმიდა სინდონი – სუდარა (Sacra Sindone di Torino, დაცულია იტალიაში და მომავალ მაისის თვეში მთელი მსოფლიოს მორწმუნეთა მოწიწების საგანი გახდება); უფლის ვნების ამსახველი მეორე რელიქვია არის ოვიედოს წმიდა სუდარა (Sudario di Oviedo; დაცულია ესპანეთში), და მესამე რელიქვია გახლავთ მანოპელოს წმიდა საბურველი (Sacro Velo di Manopello; მანოპელო: იტალიაში, აბრუცოს რეგიონში, მწვანე ფერდობებზე შეფენილი პატარა დაბა). სწორედ აქ, კაპუცინელთა მონასტრის მთავარი ეკლესიის საკურთხეველზე მოთავსებულ უძვირფასეს ჩარჩოში შემონახულია ეს უნაზესი საბურველი; ქსოვილის ჰორიზონტალური ხაზები ტალღოვანი და სადა სტრუქტურისაა, ერთმანეთში შერწყმული ქსელი და ნაქსოვი ჩვეულებრივი ქსოვილის ფორმას ქმნიან; ტილოს ზომაა 17X24 სმ. მასზე გამოსახულია მამაკაცის პირისახე, გრძელი, შუბლზე ჩამოწეული გაყოფილი თმებით და შუაზე გაყოფილი წვერით.

ფერთა გამა ყავისფერშია გადაწყვეტილი, ტუჩები ოდნავ მოწითალო, სურათზე თითქოს მატერიალური ასპექტი წაშლილია. ლოყები არათანაბარია: ერთი უფრო მომრგვალებულია, ვიდრე მეორე, აშკარაა შესივება; გამჭოლი მზერა მიმართულია ერთი მხრისკენ და ზემოთ, ამიტომაც კარგად მოჩანს ირიდას ქვეშ თვალის კაკლის სითეთრე. გუგები ფართოდაა გახელილი, მაგრამ არათანაბრად. ტრადიცია ამ სახეს იესო ქრისტეს მიაკუთვნებს, ვნებისა და აღდგომის ნიშნებითურთ. აი, როგორ აღწერა ერთ-ერთმა პილიგრიმმა ამ საოცრად გამჭვირვალე ქსოვილის ორივე მხარეზე აღბეჭდილი სახე: „ვითარცა ცოცხალი ადამიანის სახე, რომელიც თითქოს ქსოვილის უკან დგას და ამ უფაქიზესი ქსოვილიდან იმზირება: დიდებულად მბრწყინავი თმებით,... სახეზე ყველაზე მეტყველია თვალები, მკაფიო თეთრი ფერით,...მზერაში ღიმილი იგრძნობა... არის მასში რაღაც აუხსნელი და სრულიად უჩვეულო“.

მანოპელოში დასვენებული ამ რელიქვიის ისტორია სათავეს იღებს 1620 წლიდან, მას მერე, რაც იქ კაპუცინელი ბერები ჩავიდნენ. 1645 წელს კაპუცინელი მამა დონატო ბომბელი წერს ისტორიულ ნაშრომს (Relatione historica), რომელიც, ლეგენდისა და რეალობის ფონზე, მოგვითხრობს ამბავს იმაზე, თუ როგორ აღმოჩნდა უწმინდესი სახე მანოპელოში ასი წლის წინათ, ერთ-ერთი „იდუმალი პილიგრიმის“ მეშვეობით, რომელმაც სასწაულებრივი გამოსახულება ამ სოფლის ღვთისმოსავ მკვიდრს გადასცა. იგი ხელიდან ხელში გადადიოდა, ვიდრე საბოლოოდ უწმიდესი სახე საჩუქრად არ გადაეცა კაპუცინელთა მონასტერს; ამ ფაქტს 1646 წლის სანოტარო აქტიც ადასტურებს. ამ წლიდან მოყოლებული, რელიქვია საიმედოდ არის დაცული კაპუცინელების მონასტერში. წლების მანძილზე მან იმდენად მოიხვეჭა სახელი, რომ პირველ-ჟამინდელი ეკლესიის ადგილზე XX ს-ის II ნახევარში უწმიდესი სახის წმიდა ტაძარიც კი აიგო.

მანოპელოს უწმიდესი სახის გამოსაკვლევად მრავალი ექსპერიმენტი ჩატარდა, მაგრამ ერთ-ერთი სენსაციური ტესტი გახლდათ ტურინის სინდონის ნეგატივის დადება (ეს იყო მეორე ფოტო-ნეგატივი, პირველი 1931 წელს გადაიღო ჯუზეპე ენრიემ (1888-1961)) საბურველის წინა მხარეზე, რამაც აშკარად აჩვენა, თუ როგორი სიზუსტით ემთხვევა მანოპელოს სახე, უმცირეს დეტალებშიც კი, სინდონის სახეს; იქმნება ეფექტი, რომ პრაქტიკულად ორივე გამოსახულება ერთ მთლიან სახეს ქმნის, ოვიედოს სუდარის სისხლის ლაქაც კი ზუსტად ემთხვევა იმ ჰემატომებს და სისხლის გამონაჟონს, რაც დამჩნეულია ამ ორ ქსოვილზე. სისხლის ჯგუფიც ერთი და იგივეა. თუ ჩვენ შევეცდებით იმის მოძიებას, როგორ და როდის შეიქმნა ეს ორი გამოსახულება, უთუოდ მივალთ იმ მომენტამდე, როდესაც სხეული ჯერ კიდევ სამარხში

იმყოფებოდა. ამდენად, ჩვენ გვაქვს იესო ნაზარეველის ორი ავთენტური გამოსახულება, რომლებიც ამოწმებენ მის ყოფნას სამარხის შიგნით, სადაც მისი მკვდარი სხეული დაასვენეს, და საიდანაც იგი თავისი განდიდებული სხეულით აღდგა სამი დღის შემდეგ. ტურინის სინდონთან შედარებით, მანოპელოს უწმიდესი სახე გაცილებით უფრო მკაფიოა და გარეგნულად არც სისხლის კვალი ემჩნევა. უფრო მეტიც, მართალია, იგი ასახავს ქრისტეს პირისახის ყველა ჭრილობას, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ სინდონის მომდევნო პერიოდს აჩვენებს, ანუ როდესაც უკვე დაიწყო ჭრილობების შეხორცება. ეს ფაქტი ორ რამეზე მიანიშნებს: გამოსახულება შეიქმნა მანამ, სანამ იესო ჯვრის გზაზე ვნებისას დაეცემოდა, (რაც შეიძლება ვერონიკას ამბავს დავუკავშიროთ, რომელმაც ნაწამები სახიდან ოფლი მოსწმინდა გოლგოთის გზაზე მიმავალ მაცხოვარს), ანდა ეს არის მეორე სუდარა, რომელიც უფალს სამარხში სინდონის ზემოდან გადააფარეს (სრულიად სხვა, ვიდრე ოვიედოს გარდამოხსნის სუდარა). ამ სუდარაზე – სინდონსა და ტილოებზე, რაც სინდონის შესაკრავად იყო საჭირო, გასაგებადაა მოთხრობილი წმ. იოანეს სახარებაში, სადაც აღწერილია პეტრესა და იესოს საყვარელი მოციქულის შესვლა სამარხში, იესოს მკვდრეთით აღდგომის დილით (20, 5-7). თუ მხედველობაში მივიღებთ სახელ ვერონიკას ფილოლოგიურ ახსნა-განმარტებებს, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, მაშინ ვნახავთ, რომ მეორე ვერსია მეტად შეესაბამება ფაქტებს, რის საფუძველზეც უწმიდესი სახე იმ ადამიანის მკვდრეთით აღდგომას ამოწმებს, ვისი სახეც მასზეა გამოსახული.

სამწუხაროდ, მანოპელოს სახის გამოკვლევა საფუძვლიანად არ ჩატარებულა მანამ, სანამ ამ საქმით არ დაკავდა იეზუიტი მამა ჰაინრიხ პფაიფერი, პონტიფექსის გრეგორიანული უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის დოცენტი და ქრისტიანული იკონოგრაფიის ერთ-ერთი უძლიერესი ექსპერტი მსოფლიოში, და მასთან ერთად, მონაზონი ბლანდინა პასკალის შლომერი. მ. პფაიფერმა ჩამოაყალიბა ვერსია იმის შესახებ, რომ მანოპელოს საბურველი სხვა არაფერია, თუ არა კამულიას – (Kamulia), შემდეგ ვერონიკად წოდებულის, – უწმიდესი სახე, რომელიც ვატიკანში იყო დაცული მანამ, ვიდრე მოპარული არ იქნა XVI საუკუნეში, წმ. პეტრეს ახალი ბაზილიკის აგების დროს, ან 1527 წ. საიმპერიო ჯარისკაცების მიერ რომის ძარცვისას.

ამ ვერსიის მიზეზი რომ გავიგოთ, უნდა გავიხსენოთ რამდენიმე ისტორიული მოვლენა და ნათელი მოვფინოთ ზოგიერთ ტერმინს.

1. ვერონიკა: დღეს ეს სახელი იმ ღვთისმოსავ ქალბატონზე მიუთითებს, რომელმაც, დასავლეთში გავრცელებული ერთ-ერთი გვიანდელი შუა საუკუნეების ლეგენდის თანახმად (რაც Via Crucis, ჯვრის გზის ერთ-ერთ შეჩერებადაც იქცა), გოლგოთის აღმართზე მიმავალ იესოს თავისი საბურველით მოსწმინდა სახე. სინამდვილეში სახელი ვერონიკა ბერძნული სახელის ტრანსლიტერაციაა: ბერენიცე, ბერენიკე, კლასიკური მაკედონიურით ფერე ნიცე, ანუ რასაც გამარჯვება მოაქვს, ლათინურად კი: ვერე იცე – ვერა იცონ, რაც ნიშნავს „ჭეშმარიტ სახეს“. ამრიგად, სახელი ვერონიკა, პირველ რიგში, მიუთითებს არა დედაკაცზე, რომელმაც უფალს სახე მოსწმინდა, არამედ ჭეშმარიტ ხატზე (Vera Icona), აქეროპიტზე, ანუ არა ადამიანის მიერ ხელთქმნილზე, არამედ დედაკაცის საბურველზე აღბეჭდილზე. სახელს ბერენიკე ჩვენ ვხვდებით პირველ ქრისტიან ისტორიკოსთან, ეუსებიო კესარიელთან (265-340), როდესაც ის საუბრობს ჰემორაგიის მქონე დედაკაცზე, რომელსაც იესო კურნავს სახარებაში (მარკ. 5, 25-34); დედაკაცი წარმოშობით ფილიპეს კესარიიდან (ანტიკური პანეასი) იყო; ეუსებიო ყვება, რომ მან, სახლში დაბრუნებულმა, სახლის წინ დადგა ქანდაკება, რომელიც გამოსახავდა დაჩოქილ დედაკაცს, მაღლა აწეული ხელებით, რომლის წინ მანტიამოსხმული მამაკაცი იდგა, მისკენ გაწვდილი ხელით. ლათინური სახელი ვერონიკა პირველად გამოჩნდა ნიკოდემუსის აპოკრიფულ სახარებაში და VI ს-ის სხვა აპოკრიფულ ტექსტებში, მაგ; პილატეს აქტები, სადაც იესოს მიერ განკურნებული, სისხლდენით შეპყრობილი დედაკაცი ამ სახელთან იყო გაიგივებული.

2. კამულიას უწმიდესი სახე: კაპადოკიის პატარა ქალაქ კამულიაში თუ კამულიანეში, დაცული იყო იესოს პირისახის გამოსახულება, რომელიც ითვლებოდა აქეროპიტად (acheropita). პირველივე საუკუნიდან მასზე საუბრობდნენ, როგორც რელიქვიის ასლზე; მის შესახებ ერთმა უცნობმა პიაჩენცელმა პილიგრიმმა, დაახლოებით 570 წელს, დაგვიტოვა ანოტაცია, სადაც აღწერილია უწმიდესი სახე, ან მისი ასლი; ამის შემდეგ, 574 წელს რეგიონის დედაქალაქ კესარიიდან მან გადაინაცვლა კონსტანტინოპოლში, სადაც ის პერიოდულად ხდებოდა მორწმუნეთა მოწიწების საგანი, და უმოკლეს დროში იმდენად

მოიხვეჭა სახელი აღმოსავლეთის რომაულ იმპერიაში, რომ პალადიოსად, ანუ დედაქალაქის მფარველად და საიმპერიო არმიის გამარჯვების საწინდრად გადაიქცა. დღესდღეობით უცნობია ისიც, თუ როგორ ჩამოაღწია იერუსალიმიდან კამულიასა და კესარიაში ამ გამოსახულებამ; რაღაც კავშირი შეიძლება გაიბას ეუსებიოს ზემოხსენებულ მინიშნებაში. ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველყოფილ ეკლესიებში ყველა რელიქვია, რაც კი უფლის ამქვეყნიურ ცხოვრებას უკავშირდებოდა, თავად ღვთისმშობლის მიერ იყო დაცული, რომელსაც უფლება ჰქონდა, გადაეცა ისინი მოციქულებისა და მათი მემკვიდრეებისათვის იერუსალიმში. როგორც ერთ-ერთი ვერსია, არც ის უნდა გამოირიცხოს, რომ რამდენიმე რელიქვიამ მცირე აზიის ან ჩრდილოერთ აფრიკის სხვადასხვა ადგილებში დაიდო ბინა, ანუ იქ, სადაც მოციქულები და მათი მოწაფეები სახარების გასავრცელებლად წავიდნენ (V ს-ის ლეგენდის მიხედვით, ედესაში, მეფე აბგარი, რომელმაც ირწმუნა, რომ იესო არის ძე ღვთისა, ქრისტეს აღდგომის შემდეგ, განიკურნა კეთრისგან. ხოლო რაც შეეხება წმიდა სინდონს, ის, ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანებში, ხანგრძლივი დროით დარჩა ედესაში), ანდა მოახლოებული საშიშროების გამო, როგორიც იყო ჯერ სპარსეთის, ხოლო შემდეგ არაბულ-მუსულმანური (VII ს.) აგრესია, მათი პირვანდელი ადგილმდებარეობიდან შორს, უსაფრთხო ადგილზე წაიღეს. ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს რელიქვიას: მის არსებობას საფრთხე შეექმნა ერეტიკოსი თუ ხატმებრძოლი იმპერატორების სახით. ერთხელაც, გამოსახულება გაქრა და მეტად აღარ გამოჩენილა კონსტანტინოპოლში. შეიძლება ის ბრძოლის დროს განადგურდა, მაგრამ უფრო გონივრულია, ვიფიქროთ, რომ იგი საიდუმლო გზით გაგზავნეს რომში. როგორც ლეგენდა მოგვითხრობს, – კონსტანტინოპოლის პატრიარქმა, გერმანე I-მა (715-730), ხატმებრძოლი იმპერატორების განადგურებისგან რომ გადაერჩინა კამულიას უწმიდესი სახის გამოსახულება, აქეროპიტი ზღვაში მოისროლა, სასწაულებრივი ძალით მან ჰოსტიას სანაპიროს მიაღწია, მეთევზეებმა ის წყლიდან ამოიღეს და რომში წაიღეს. ლეგენდის სახით გადმოცემული ეს ამბავი სხვა დოკუმენტებშიც არის ნახსენები, რაც თავისებურად ადასტურებს რელიქვიის რომში გაგზავნის ფაქტს. ამასთან დაკავშირებით, იეზუიტი მკვლევარი ვარაუდობს, რომ იოანე VII-ს პაპობის დროს, გამოსახულება ბიზანტიის ხელისუფლების ვერაგი ხელიდან რომ დაეცვა, პაპმა იგი მაცხოვრის იმ ხატზე დაასვენა, რომელსაც VIII ს-დან ეწოდა აქეროპიტი, და რომელიც დაცული იყო რომში, ლატერანის წმიდა ტაძარში. დაახლოებით 1200 წელს, ბიზანტიის იმპერიის შესუსტებასთან ერთად, რელიქვიას დროდადრო გამოასვენებდნენ ხოლმე წმ. პეტრეს ტაძარში, ზოგჯერ კი პროცესიაც იმართებოდა რომის ქუჩებში. საიუბილეო დღეებში იგი მთელი საქრისტიანოდან წამოსული მომლოცველების მოწიწების საგანი ხდებოდა. მასზე საუბრობენ დანტე და პეტრარკა თავიანთ ნაშრომებში. 1500 წლიდან მოყოლებული, მომდევნო საუკუნის პირველ ხანებამდე, უწმიდესი გამოსახულების ორიგინალი, ანუ კამულიას საბურველი, რომიდან გაქრა. ამ ფაქტის ირგვლივ ვატიკანში სრული სიჩუმე ჩამოწვა. აი, ასე მივედით იმ მომენტამდე, როდესაც ეს „იდუმალი პილიგრიმი“ მანოპელოში გამოჩნდა.... ცნობილი ფაქტის - წმ. პეტრეს ტაძრიდან ე.წ. „ვერონიკას საბურველის“ მოპარვის - შემდეგ, XVI ს-ში, პავლე V-მ გადაწყვიტა, დაეწერა ახალი უწმინდესი ხატი და მოპარულის ადგილზე დაესვენებინა, მაგრამ ნამუშევარი ნამდვილად ცუდი გამოვიდა (დახუჭული თვალებითა და შეცვლილი გამომეტყველებით). დღეს წმ. პეტრეს ბაზილიკაში, ე.წ. ვერონიკას პილასტრში დაცულ გამოსახულებას წარმოადგენს მოოქროვილი ფილა, რომელზედაც დამაგრებულია გაცრეცილი საბურველი, ზემოდან სხვა საფარველით დაცული, სადაც ძლივს მოჩანს ქრისტეს წვერი.

3. დასასრულს, ამ მოკლე ისტორიულ ექსკურსს ერთ მნიშვენლოვან შენიშვნას დავამატებთ, რომელიც შეეხება ტურინის სინდონისა და მანოპელოს უწმიდესი სახის გამოსახულებებს, და ვიტყვით, რომ ეს ორი გამოსახულება, რომელიც მთელი სისრულით შეესატყვისება ერთსა და იმავე პიროვნებას, სახვით ხელოვნებაში ქრისტეს სახის გამოხატვის საბაზო ნიმუშად იქცა, როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში, ჯერ კიდევ ადრეული ხანიდან. ეს ფაქტი აიხსნება თავად იესოს გამოსახულების გამოჩენით და გავრცელებით, განსაკუთრებით კი სასწაულებრივად მიჩნეული ხატებით. ჯერ კიდევ წმიდა ირენეო ლიონელი (ჩვ.წ.-აღ. 130-200 წწ.) თავის ნაშრომში – „ერესის წინააღმდეგ“, – საუბრობს, რომ ეგვიპტელი ერეტიკოს-გნოსტიკოსის, კარპოკრატეს (II ს.) მიმდევრები ფლობდნენ და ეთაყვანებოდნენ ქრისტეს გამოსახულებას. არსებობდა რამდენიმე ხატი, ზოგიც რეპროდუქცია, სხვა მასალით შესრულებული, იმ ნიმუშის საფუძველზე, რომელიც პონტიუს პილატეს მიერ შესრულდა... იმ ხანებში, როდესაც იესო ადამიანთა შორის იმყოფებოდა; იეზუიტი მამის მიხედვით, არქეტიპები, საიდანაც სათავეს იღებს იესოს პირველჟამინდელი გამოსახულებები, – აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც, – გახლავთ ორი უნიკალური აქეროპიტი, ორივე მათგანი ქსოვილის მასალისგან შექმნილი და ჩვენამდე მოღწეული: პირველი მანდილიონი (Mandylion), ქ. ედესაში, რომელიც დღესდღეობით ცნობილია ტურინის სინდონად, და მეორე კაპადოკიაში, კამულიას გამოსახულება, სავარაუდოდ, მანოპელოს უწმიდესი პირისახე. მიუხედავად იმისა რომ ხატწერაში მაცხოვრის პირისახე საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა, იკონოგრაფია მაინც კლასიკური ტიპის ერთგული რჩება, რომელიც შეიცნობა უამრავი შტრიხებით, ანდა ნაწილობრივ მაინც არსებობს მთავარი მიმანიშნებელი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წარმართული კერპებისგან, ან ბუდას გამოსახულებისგან განსხვავებით, ეს პირისახე ასიმეტრიული და პერსონალურია. ეს ელემენტები შუცვლელად არის წარმოდგენილი ერთშიც და მეორეშიც, ანუ ორივე რელიქვიაში, და, ამავდროულად, დასტურდება ისიც, რომ მათ ჯერ კიდევ IV საუკუნიდან იცნობდნენ.
სინდონი, უმთავრესად, ძვლოვან სტრუქტურას ჰფენს ნათელს, ხოლო უწმიდესი პირისახე, – შედარებით მრგვალი ფორმის, – ცოცხალ და მეტყველ მზერას გამოხატავს, განსაკუთრებით კი, თვალებს. ქრისტე-პანტოკრატორის ყველა მოზაიკა, კონს-

ტანტინოპოლში, საბერძნეთში და სიცილიაზე, იმ ტიპს აჩვენებს, რომლის ნიმუშად აღებულია სინდონი. კვატროჩენტოს (400-იანი წლები) ხელოვნებაში ქრისტეს სახეს უფრო მეტად მანოპელოს წმიდა სახეს ამსგავსებენ. პირველ შემთხვევაში, XII ს-ში, კონსტანტინოპოლში, მოზაიკის ექსპერტები გაეცნენ მანდილიონს. მეორე შემთხვევაში, მხატვრები ძირითადად იცნობდნენ კამულიას სახეს, ანუ რომაელ ვერონიკას, იგივე „მანოპელოს საბურველს“. დღემდე ჩატარებული კვლევა ცხადყოფს იმ არსობრივ მსგავსებას, რაც ზოგიერთ ცნობილ ხატზე დაკვირვებისას მიიღწევა, მაგალითად, როგორიცაა: ქრისტე-პანტოკრატორი (ყოვლისშემძლე, წუთისოფლის უფალი), რომელიც დაცულია ეგვიპტეში, სინაის მთაზე, წმ. კატერინას მონასტერში; ხატი მთელი სიზუსტით თანხვდება როგორც სინდონს, ასევე მანოპელოს უწმიდეს სახეს. გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად ხელოვნების ერთსა და იმავე ქმნილებაში გამოჩნდება წმიდა სინდონისა და მანოპელოს უწმიდესი სახისთვის დამახასიათებელი ელემენტები (და ეს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ნანახი სინდონის სახე ისეთად, როგორადაც დღეს მას ვიცნობთ ფოტო-ნეგატივის მეშვეობით, მთელი თავისი დეტალებით), ჩნდება კითხვა, როგორ შეიძლება, ამ უფაქიზესი სახიდან მაგალითად აღებული ყოფილიყო რომელიმე შტრიხი, თუკი ცნობილი არ იქნებოდა საბურველზე აღბეჭდილი სახე? კვლავაც უამრავი კითხვა ისმის ამ რელიქვიების ირგვლივ, კერძოდ კი, ამ რელიქვიაზე. შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ექსპერიმენტული, ისტორიული და ეგზეგეტური კვლევიდან დაწყებული, ყველა კითხვა კორექტულია და პასუხიც უფრო მეტ დროსა და ცოდნას მოითხოვს.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

* * *

დასასრულს, გთავაზობთ ორ ლოცვას:

პირველი ბენედიქტე XVI-მ წარმოთქვა 2006 წლის პირველ სექტემბერს, თავისი ვიზიტის დროს მანოპელოში, უწმიდესი სახის 500 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ხოლო მეორე ეკუთვნის წმიდა ტერეზას (წმ.ტერეზა ყრმა იესოსი).

უფალო იესო, გევედრებით, გვიჩვენე შენი მარად წმიდა სახე – ღვთის უსასრულო გულმოწყალების იდუმალი სარკე. მოგვეცი ნება, რათა ვუმზიროთ მას გულისა და გონების თვალით: ძის სახეს, მამის დიდებით გასხივოსნებულს, და მისი არსის გამომხატველს, ღვთის ადამიანურ სახეს, წუთისოფელში მარადისობის ჰორიზონტის გასამჟღავნებლად რომ შემოიჭრა; ვნებული და აღმდგარი იესოს მდუმარე სახეს, რომელიც თავისი სიყვარულით გარდასახავს ერთგული კაცის გულსა და ცხოვრებას.

„შენს სახეს მოვძებნი, უფალო. ნუ დამალავ შენს სახეს ჩემგან “, – საუკუნეების და ათასწლეულების მანძილზე მორწმუნეთა შორის რამდენის ბაგეზე გაიჟღერა მედავითნეს ამ ტკივილით სავსე ვედრებამ! უფალო, ჩვენც იგივეს ვიმეორებთ ძლიერი რწმენით: „უფალო, წამებულო, ჩვენ, რომელთაც შენს წინაშე უნდა დავიფაროთ სახე, ნუ დაგვიმალავ შენს სახეს!“

გვსურს, დავეწაფოთ სიყვარულითა და სიბრალულით მომზირალ შენს თვალებს; მოგვეცეს სიყვარულისა და მშვიდობის ძალა, რომელიც მიგვანიშნებს სიცოცხლის გზასა და სიმხნევეზე, რათა უშიშრად და ნებით გამოგყვეთ, და გავხდეთ შენი სახარების მოწმენი მზაობის, სიყვარულისა და მიტევების კონკრეტული გამოხატვით.

ქრისტეს უწმიდესო სახევ, ნათელო, ეჭვებისა და სევდის სიბნელის გამნათებელო, ბოროტებისა და სიკვდილის საუკუნოდ მძლეველო, იდუმალებით მოცულო მზერავ, ადამიანებსა და ერებზე მიპყრობილო მარადჟამს, ევქარისტიულ ნიშნებსა და მოყვასთა მზერაში დავანებულო სახევ, გვაქციე ღვთის მომლოცველებად ამ წუთისოფელში, და უკანასკნელ დღესთან შესახვედრად მზადმყოფნი. გესავთ უფალო, რომ შეგვაძლებინებ, შეგხედოთ „სახეში“ და სამარადისოდ განვჭვრიტოთ შენი სახე ზეციურ დიდებაში.

მარიამ, დედავ უწმიდესი სახისა: შეგვეწიე, რათა „უმწიკვლო ხელები და სუფთა გული გვქონდეს“, რათა, ქრისტესთან შეხვედრით გარდაქმნილებმა, მივუძღვნათ ისინი ღატაკთ და ტანჯულთ, რომელთა სახეში გაიბრწყინებს შენი ძის, იესო ქრისტეს უძველესი სახე, რომელიც ცოცხლობს და სუფევს უკუნითი უკუნისამდე. ამენ!

ლოცვა უწმიდესი სახისადმი

(წმ. ტერეზა ყრმა იესოსი)

ჰოი, იესო, მწარე ვნება შენი „ადამიანთა სირცხვილად და ტკივილად“ იქცა; ჰოი, იესო, ვეთაყვანები შენს უწმიდეს სახეს, გაბრწყინებულს ღმრთაებრივი სილამაზითა და სათნოებით; აწ იგი ჩემთვის კეთროვანის სახედ ქცეულა! მაგრამ ამ უსახურ ნაკვთებში, მე შევიცნობ შენს უსაზღვრო სიყვარულს და მკლავს სურვილი, რომ შეგიყვარო, რომ შეგიყვაროს ყოველმა კაცმა. ხოლო ცრემლები, შენს თვალთაგან გადმოღვრილი, მარგალიტია ძვირფასი ჩემთვის, რომელსაც შევაგროვებ, ცოდვილ ღატაკთა სულის გამოსასყიდად.

ჰოი, იესო, სათაყვანებელი სახე შენი ათრთოლებს ჩემს გულს; გევედრები, აღბეჭდე ჩემში ღმრთაებრივი ხატი შენი და გააღვივე ცეცხლი შენი სიყვარულისა, რათა შემეძლოს, რომ ზეცაში დიდებულ სახეს შენსას ვუმზერდე მუდამ. ამენ.

საქართველოში ლათინური წესის კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრატორი,
ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო

აღდგომა 2010

უძვირფასესო ძმანო და დანო,

აი, ეკლესია კვლავ გვამცნობს, რომ „იგი აღდგა“. აღდგა, რათა შევძლოთ მასთან შეხვედრა, აღდგა, რათა მან შეძლოს ჩვენთან შეხვედრა! აღდგომის აზრი არის ღმერთთან შეხვედრა, ჩვენ კი ჯერ კიდევ ჩვენი ცხოვრების ფსკერზე ვართ, მაგრამ სხვა რა უნდა გაეკეთებინა ღმერთს, რომ შეძლებოდა შეხვედრა შენთან და ჩემთან?

იესოს, აღდგომის დღეს, შეეძლო ჩვენთვის ეთქვა:

თავი დავიმცირე, ბავშვად ვიქეცი, დავიბადე ბოსელში, შემდეგ, თითქოს ეს არ ყოფილიყო საკმარისი, მოგეცით საკვები: გავამრავლე პური და თევზი, ყველას ვუჩვენე სასწაული, ავარჩიე თორმეტი უწიგნური და გაუნათლებელი მეთევზე, მათ შორის ერთმა მიღალატა კიდეც, მეორემ კი უარმყო, ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში კი ყველა გაიქცა; შემდეგ გავემართე ჯვრისაკენ, რათა გამეგებინებინა შენთვის, რომ დავითმინე ტანჯვა, თუმცა გულწრფელად მქონდა სურვილი გავქცეულიყავი, მაგრამ ვარჩიე, მეტანჯა შენი გადარჩენისათვის და როდესაც ავედი ჯვარზე, ძალიან მარტოდ და მიტოვებულად ვიგრძენი თავი, მაგრამ მაინც მივენდე ღმერთს, მისი სიყვარულის ძალას მივყევი, მივენდე მას და მხოლოდ მაშინ შევძელი მისი მადლმოსილების ძალის ჭვრეტა, ჩემი დრო იყო.

ჩავაღწიე შენი სულის სიღრმეებში და გაგათავისუფლე ტკივილისა და შფოთის იმ ხლართისაგან, რომელშიც ყოველდღიურად ცხოვრობ; გამოფხიზლდი მაგ სულიერი უძრაობისგან, რომელიც ხელს გიშლის, აღმოაჩინო ჩემი სიყვარულის არსებობა; შეწყვიტე შენს თავზე მოთქმა, აიღე შენი ცხოვრება გაშლილი ხელებით და დახარჯე ის სხვებისთვის; შენ ხარ ჩემი ყველაზე მშვენიერი ქმნილება, შენ ხარ ჩემი ხელოვნების ნიმუში, როგორ შემიძლია, მიგატოვო ამ მომენტში; ნუ მეძებ მკვდრებს შორის, აღარ ვარ მკვდარი, მე ვარ ცოცხალი, მუდმივად ცოცხალი თქვენს შორის, მე ვარ აღმდგარი!

ასე რომ, ძვირფასო ძმაო და ძვირფასო დაო,

გადადგი თითო ნაბიჯი ყოველ ჯერზე, ანდა... გაიქეცი, გაიქეცი, იესო აღდგა, ნუ იდგები უქმად შენს პოზიციაზე, განსხვავებული აღდგომა იქნება. როდესაც წახვალ სასაფლაოზე აღდგომის შემდეგ ორშაბათს, იფიქრე იესოს ცარიელ სამარხზე და განაახლე შენი რწმენა მკვდართა აღდგომისა. მასში, მისი აღდგომის წყალობით, შენი სამარხიც გაიხსნება. ამ აღდგომას გაარღვიე ის ქერქი, რომელიც ხელს გიშლის ღვთის სიყვარულში და გიყვარდეს ის მთელი შენი არსებით, გთხოვ, მიეცი შენი თავი ღვთის მადლს და მოიქეცი მისი სიყვარულისაკენ მთელი შენი არსებით. საკმარისია! არ თქვა: მე არ შემიძლია! გააღვიძე ის სილამაზე, რომელსაც ჰქვია: იყო ის, ვინც ხარ, და დაუთმე შენი თავი ღვთის უსაზღვრო სიყვარულს!

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

ბოშათა ევანგელიზაცია: ეკლესიის ამოცანები

„ეკლესიის ზრუნვა ბოშებისთვის: არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები“, – ამ თემას განიხილავდნენ 2-4 მარტს რომში ევროპის ბოშათა დამოძღვრის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელები. შეხვედრის დასაწყისში მიგრანტთა დამოძღვრის პაპის საბჭოს მდივანმა აგოსტინო მარკეტომ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომლებიც დგას ეკლესიის წინაშე ამ სფეროში:



„უპირველეს ყოვლისა, მინდა, ხაზი გავუსვა უკიდურეს სიღატაკეს, რომელშიც ევროპის მილიონობით ბოშა ცხოვრობს. მათ ისედაც სავალალო მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებს უნდობლობისა და ქსენოფობიის ატმოსფერო. ეკლესიამ უნდა გააკეთოს ყველაფერი, რაც შესაძლებელია, რათა დაიცვას მათი ღირსება და უფლებები და, ამავე დროს, შეახსენოს ბოშებს მათი ვალდებულებები საზოგადოების წინაშე“.

ამ პრობლემის ერთ-ერთი ურთულესი მხარე ბოშათა თემის დახშულობაა, რაც ძალზე ართულებს სამოძღვრო სამუშაოს.

„ეკლესია მყოფობს ბოშათა შორის მოძღვართა ღვაწლით, რომლებიც ითვალისწინებენ მათ კულტურულ თავისებურებებს, პატივს სცემენ მათ თვითმყოფადობას. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს განსაკუთრებული სტრუქტურები და განყოფილებები, რომლებიც ბოშებისთვის ქმედითი სულიერი დახმარების გაწევას ცდილობენ. ამ განყოფილებებში მოღვაწეთა რიცხვი განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად საფრანგეთში, რომელსაც ამგვარი სამოძღვრო მოღვაწეობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს, ამ სფეროში ასზე მეტი ადამიანია ჩართული. ბევრი მათგანი ბოშათა ცხოვრების წესს იზიარებს, ბანაკებში ცხოვრობს და მათთან ერთად მოგზაურობს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ადამიანთა საქმიანობას, რომლებიც თავად ბოშური წარმოშობისანი არიან“, – აღნიშნა აგოსტინო მარკეტომ.

დღეს ევროპაში დაახლოებით 12-14 მილიონი ბოშაა. მათი უმეტესობა უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, არ გააჩნია თავშესაფარი, მოკლებულია სამედიცინო დახმარებას. როგორც წესი, ბოშათა თემი ქვეყნის შიგნითაც სრულ იზოლაციაში ცხოვრობს. ამის მიზეზია როგორც ქსენოფობია, ასევე თავად ბოშათა მენტალიტეტიც. თუმცა, როგორც აღნიშნავს მთავარეპისკოპოსი აგოსტინო მარკეტო, „საჭიროა ავირჩიოთ გზა, რომელიც ბენედიქტე XVI-მ შემოგვთავაზა თავის ენციკლიკაში „Caritas in Veritate“, ანუ დავეხმაროთ ღარიბებს ისე, რომ ამ დახმარებამ არ დაამციროს ისინი. ამისთვის ყველა პროექტი გრძელვადიანი უნდა იყოს და სიღარიბესთან ბრძოლის ერთი წლით არ უნდა შემოიფარგლოს“.

არის თუ არა პოლიტიკა მანკიერი?

კათოლიკეებისთვის „ზნეობის საკითხი იქცა მოწოდებად, ისტორიულ მისიად – უზენაესი ღირებულებებისკენ გაუძღვნენ საზოგადოებას“, – განაცხადა 19 თებერვალს წმიდა საყდრის სახელმწიფო მდივანმა, კარდინალმა ტარჩიზიო ბერტონემ, იტალიის პოლიტიკოსთა ყოველწლიურ ასამბლეაზე. როდესაც საუბარი პოლიტიკის მანკიერებას შეეხო, კარდინალმა აღნიშნა, რომ „პოლიტიკა არ არის მანკიერი. პიუს XI–მ მას მოყვასისადმი გულმოწყალე მოქმედება უწოდა. თუმცა სავსებით გასაგებია ის გულაცრუება, რომელსაც პოლიტიკური მაქინაციები იწვევს“. პოლიტიკის ავკარგიანობაზე მსჯელობისთვის კარდინალმა XVI საუკუნის ორი ურთიერთსაპირისპირო პოლიტიკური მოდელი შესთავაზა – თომას მორის მოდელი, რომელიც განიხილავდა პოლიტიკას, როგორც მსახურებას, როგორც გადარჩენის გზას და ნიკოლო მაკიაველის უტილიტარიზმზე აგებული თეორია. ბერტონემ ხაზი გაუსვა ქრისტიან პოლიტიკოსთა ახალი თაობის აუცილებლობას. თანამედროვე საზოგადოებაში ორი გზის არჩევანი გვაქვს: უკეთესი მომავლის გზა და სამყაროსადმი გულგრილობის გზა. ახალგაზრდობა „მთავარი მონაწილეა პოლიტიკური პროცესისა, რომელიც არ უნდა იყოს მიმართული მხოლოდ წარსულისკენ და არ უნდა გაიყინოს არსებულ დონეზე“.

ჯვრის დაუსრულებელი გზა

ამ სიტყვებით აღწერს მოსულის ეპისკოპოსი ემილ შიმუნ ნონა ქრისტიანების ცხოვრებას ერაყში. ამ ქვეყანაში, ისევე როგორც ინდოეთში, პაკისტანში და მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც, ეკლესია დღეს განიცდის მოწამეობას, რომელიც ადრეული საუკუნეების ეკლესიას ხვდა წილად. კრიტიკულ მდგომარეობაზე კიდევ ერთხელ მიუთითა წმიდა საყდრის პრეს-ცენტრის მდივანმა, მამა ფედერიკო ლომბარდიმ:

„ამ დღეებში კვლავ იფეთქა ძალადობის ტალღამ ქრისტიანთა წინააღმდეგ. როგორ უნდა იცხოვროს ქრისტიანთა სამრევლომ ამგვარ პირობებში? ეს სამრევლოები შერწყმულნი არიან ამ ქვეყნის კულტურასა და ისტორიასთან და ამ საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ, აქ საქმე გვაქვს არა დასავლეთის ან უცხოელის, არამედ სწორედ ქრისტიანული სამრევლოს სიძულვილთან“.

ფედერიკო ლომბარდიმ აღნიშნა, რომ სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანები შველას სთხოვენ საერთაშორისო საზოგადოებრიობას. თუმცა დღეს დასავლურ სამყაროში ბევრი ცდილობს, შეზღუდოს ქრისტიანული გავლენა იქაც კი, სადაც იგი უმრავლესობის მსოფლმხედველობას წარმოადგენს. იბადება კითხვა: უნდა ველოდოთ დახმარებას მათგან, ვისთვისაც ამ ქრისტიანებს არავითარი პოლიტიკური ან ეკონომიკური მნიშვნელობა არ აქვს?

„ქრისტიანებს უნდა ახსოვდეთ თავისი მოძღვრის ბედი და არ უნდა გაუკვირდეთ, რომ მათ დევნიან, მიუხედავად იმისა რომ სამართლიანობა მათაც ეკუთვნის და მათაც უნდა ისარგებლონ უფლებებით“, – ასკვნის ლომბარდი.

ვიეტნამელი მღვდელი-სამართალდამცავი ციხიდან გაათავისუფლეს

ვიეტნამის ხელისუფლებამ ციხიდან გაათავისუფლა ცნობილი კათოლიკე დისიდენტი მღვდელი ტადეუს ნგუ-

ენ ვან ლი. ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის დასაცავად თავისი გამოსვლების გამო, ნგუენ ვან ლი არაერთხელ აღმოჩენილა ციხეში და შინა პატიმრობაში. 2007 წელს „ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდისთვის“ მას რვაწლიანი მკაცრი რეჟიმის, და ხუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. 15 მარტს მღვდელი სამედიცინო მონაცემებით, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ციხიდან გაათავისუფლეს. 63 წლის ნგუენ ვან ლიმ ციხეში ორი ინსულტი გადაიტანა და ციხიდან გათავისუფლებულია მკურნალობის მიზნით, მხოლოდ ერთი წლით. რადიო France Internationale-სთვის მიცემულ ინტერვიუში მღვდელმა განაცხადა, რომ განაჩენი უსამართლო და არაცივილიზებული იყო. იგი არასდროს მიიჩნევდა თავს დამნაშავედ და სინდისის პატიმარია.

გვეშინოდეს თუ არა ისლამის

ამ თემაზე ისაუბრა რელიგიათა შორის დიალოგის პაპის საბჭოს თავმჯდომარემ, კარდინალმა ჟან ლუი ტორანმა გრანადის უნივერსიტეტის საღმრთისმეტყველო ფაკულტეტის მიერ გამართულ შეხვედრაზე, სახელწოდებით „ქრისტიანობა, ისლამი და თანამედროვეობა“.

თავის გამოსვლა კარდინალმა იმ ფაქტის კონსტატაციით დაიწყო, რომ „დასავლელი ადამიანისთვის ძალზე რთულია ისლამის გაგება“.

„ჩვენ ვხვდებით მუსლიმებს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ამ ურთიერთობაში ქრისტიანებიც და მუსლიმებიც ხშირად ხდებიან მსხვერპლნი ცრურწმენისა, რომლის დასაბამი უვიცობაა. ზოგიერთი ქრისტიანი არასდროს ესაუბრება მუსლიმებს, ზოგიერთი მუსლიმი კი – ქრისტიანებს. საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა, რათა გავეცნოთ ერთმანეთის რელიგიურ ტრადიციებს, დავინახოთ განსხვავებები და ის, რაც გვაერთიანებს. ეს ურთულესი ამოცანა შინაგან თავისუფლებასა და ერთმანეთის უპირობო პატივისცემას მოითხოვს. იმისთვის, რომ სხვისი ხმა გავიგონოთ, ზოგჯერ დადუმებაა საჭირო. ჩვენს აღმსარებლობებში ბევრია საერთო: მონოთეიზმი, წმიდა ცხოვრების წესი, ახალგაზრდა თაობებისთვის ზნეობრივ ღირებულებათა გადაცემის ვალდებულება, ოჯახის მნიშვნელობა ახალგაზრდა თაობის ემოციური და ზნეობრივი ზრდისთვის, რელიგიის მნიშვნელობა საგანმანათლებლო პროცესში“.

კარდინალი ტორანი მიიჩნევს, რომ კათოლიკე ეკლესიის მოძღვრები და კათოლიკური სკოლების პედაგოგები ხშირად არ ითვალისწინებენ რელიგიური პლურალიზმის ახალ მხარეებს და ჩივიან, რომ „ევროპის კათოლიკეები ძალზე ცუდად იცნობენ თავიანთ რწმენას“. „არ შეიძლება დავიწყოთ დიალოგი ორაზროვან ატმოსფეროში, ან მაშინ, როდესაც მის მონაწილეებს არ გააჩნიათ გარკვეული სულიერი პროფილი. ამგვარად იბადება რელატივიზმი და სინკრეტიზმი“, – აფრთხილებს ტორანი.

„დიალოგში მონაწილეობა არ ნიშნავს საკუთარი რწმენის ბრჭყალებში ჩასმას. პირიქით: უნდა განვაცხადოთ იგი როგორც სიტყვით, ასევე საქმით. იესო არის ნათელი ყოველი ადამიანისა, რომელიც ამ სოფლად მოდის და ეს ნათელი სხვა აღმსარებლობათა წარმომადგენლებსაც ეფინება. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ყველა რელიგიას თანაბარი ღირებულება აქვს, მაგრამ ყველა რელიგიას, რომელიც ღმერთს ეძებს, აქვს თანაბარი ღირსება“.

სინტოიზმიდან კათოლიკეობაში

სინტოისტი ქურუმის ცოლმა და ქალიშვილმა კათოლიკობის მიღება გადაწყვიტეს. თავად ქურუმი მეუღლისა და ქალიშვილის ამ გადაწყვეტილებას არ ეწინააღმდეგება. ნათლობა 3 აპრილს შედგება, რის შემდეგაც ახლად მოქცეულები საფრანგეთში გაემგზავრებიან და, სხვა მომლოცველებთან ერთად, ლურდისკენ გაემართებიან. სააგენტო „Ucanews“-სათვის მიცემულ ინტერვიუში მიუკიმ განაცხადა, რომ სინტოისტურ ტაძარში საღმრთისმსახურეო მუსიკას ასრულებს. ქმრის დახმარებას ტაძარში იგი ნათლობის შემდეგაც გააგრძელებს.

ქალწულ მარიამის გამოცხადება ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში

მრავალრიცხოვან თვითმხილველთა განცხადებით, ქალწულ მარიამის გამოცხადება ხორვატიის ქალაქ მედჟუგორიეში უკვე თითქმის 30 წლის მანძილზე გრძელდება, თუმცა ოფიციალური პოზიცია ამ მოვლენასთან დაკავშირებით კათოლიკე ეკლესიას ჯერ არ გამოუთქვამს.

პირველი გამოცხადება მოხდა 1981 წელს, როდესაც ღმრთისმშობელი ერთდროულად ექვსმა ბავშვმა იხილა. თვითმხილველთა მტკიცებით, ქალწული ღრუბელზე ცხადდება და მხილველებს ხორვატულ ენაზე მიმართავს. ყოველ გამოცხადებას წინ უსწრებს სამი გაელვება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკლესიას ჯერჯერობით არ ჩამოუყალიბებია თავისი საბოლოო პოზიცია. წმიდა საყდრის გადაწყვეტილებით, შეიქმნა ოცკაციანი საერთაშორისო კომისია, რომელიც ამ მოვლენას შეისწავლის, რის შემდეგაც რწმენის მოძღვრების კონგრეგაციაში წარადგენს ანგარიშს. კომისიას კარდინალი კამილო რუინი ხელმძღვანელობს.

1998 წელს კარდინალმა რაცინგერმა, რომელიც იმ დროს რწმენის მოძღვრების კონგრეგაციას ხელმძღვანელობდა, მედჟუგორიეში კერძო მომლოცველობის ნება დართო, თუმცა აღნიშნა, რომ ამ მოვლენის სასწაულებრივი ბუნება ჯერ კიდევ დადასტურებას მოითხოვს.

პოლონელმა პრელატმა სლავომირ ოდერმა თავის წიგნში „რატომ არის იგი წმიდა“, რომელიც იოანე პავლე II-ზე მოგვითხრობს, წერს, რომ წინამორბედი პონტიფექსი ამ მოვლენას სასწაულად მიიჩნევდა. „პაპი რომ არ ვიყო, მედჟუგორიეში აღსარებისთვის წავიდოდი“, – იხსენებს თავის წიგნში პრელატი იოანე პავლე II-ის სიტყვებს.

ასეა თუ ისე, სანამ კომისია ამ მოვლენას სწავლობს და ანგარიშს ამზადებს, მომლოცველთა ნაკადი ამ სავარაუდო სასწაულისკენ მიედინება. პირველი გამოცხადების დღიდან, ეს ადგილი უკვე 30 მილიონმა ადამიანმა მოილოცა.

მოამზადა **რუსუდან ავალიშვილმა**

სტუმრად არალში

2010 წლის 17 თებერვალს არლელებს ძვირფასი სტუმარი, წმიდა საყდრის დესპანი ამიერკავკასიაში, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი გვეწვია. ესოდენ მაღალი რანგის სტუმრის ჩამობრძანება ყველა საკრებულოსთვის სასიხარულო და იმედისმომცემია. ყველანი ვგრძნობდით, რომ ჩვენც თანაზიარებაში ვიყავით მსოფლიოს კათოლიკე ეკლესიასთან.

მთავარეპისკოპოსი შეხვდა ჩვენი საკრებულოს ახალგაზრდებს, ახალგაზრდა ოჯახებს, ეკლესიის მრევლს, რომელთაც ესაუბრა მშვიდობაზე, მართლმადიდებელი და კათოლიკე ეკლესიის ურთიერთობებზე და სხვა აქტუალურ საკითხებზე. შეხვედრამ გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

მთავარეპისკოპოსს, არალის კათოლიკე ახალგაზრდების სახელით, მიესალმა და კითხვები დაუსვა თ. ფეიქრიშვილმა, ახალგაზრდა ოჯახების სახელით კი _ ო. ჩილინგარაშვილმა.

წმიდა საყდრის დესპანი, ასევე, შეხვდა ადიგენის რაიონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ს. პარუნაშვილს, მის მოადგილეებს: ა. ბალახაშვილსა და რ. ტატალაშვილს, აგრეთვე, რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს რ. აფრიამაშვილს.

სტუმრებმა დაათვალიერეს "საქართველოს კარიტასის" მიერ დაფინანსებული პროექტები, კერძოდ: ხატვის, თექის, გობელენის, მათემატიკისა და კომპიუტერის შემსწავლელი ჯგუფები და კმაყოფილნი დარჩნენ მათი კოორდინატორისა და მასწავლებლების მუშაობით.

სტუმრების პატივსაცემად გამართულ სადილზე კვლავ გაგრძელდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, საჭირბოროტო თუ სასიამოვნო ამბებზე საუბარი.

საღამოს, მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ წმიდა წირვა აღავლინა მამა იეჟი შიმეროვსკისა და მამა მიხეილ სურმავასთან ერთად. ეკლესია სავსე იყო მრევლით.

წირვის დასასრულს მთავარეპისკოპოსმა ფრიად სასიხარულო ამბავი გვაუწყა: საქართველოს მთავრობამ ნება დაგვრთო, აღვადგინოთ ახალციხეში, რაბათის დასახლებაში მდებარე კათოლიკური ეკლესიის ნანგრევები, რაც არა მარტო ახალციხელების, არამედ მთელი საქართველოს კათოლიკეების სანუკვარი ოცნებაა.

ამ სასიხარულო ამბავს მხურვალე ოვაციები მოჰყვა.

ს. აფრიამაშვილი

მღვდლობის საიდუმლო

ვატიკანის II კრება მღვდლის დანიშნულების შესახებ

ვატიკანის II კრებამ საგანგებო დეკრეტი მიუძღვნა მღვდლობის საიდუმლოს, რომელიც მის ბოლო სხდომაზე, მთელი კრების დახურვის წინ, 1965 წლის 7 დეკემბერს მიიღეს. დეკრეტი შეეხება მღვდელთა მსახურებასა და ცხოვრებას და მას ლათინურად „Presbyterorum Ordinis“ ეწოდება. მასში ნათქვამია, რომ „მღვდლები ემსახურებიან ქრისტეს – მოძღვარს, მღვდელმსახურსა და მეფეს, მონაწილეობენ მის მსახურებაში, რომლის საშუალებით ეკლესია ამქვეყნად განუწყვეტლივ აღშენდება როგორც ღმრთის ერი, ქრისტეს სხეული და სული წმიდის ტაძარი“.

მას შემდეგ, რაც იესოს მოციქულებმა – მაცხოვრის მოწაფეებმა – დაადგინეს ეპისკოპოსები ანუ ხელი დაასხეს მათ, მოციქულებმა თანდათანობით, მოწამობრივად (წმიდა იოანეს გარდა), დატოვეს მიწიერი ქვეყანა, მაგრამ, თავიანთ ნაცვლად, სწორედ ეპისკოპოსებს მიანიჭეს ეკლესიის მართვისა და ხელდასხმის უფლება, რაც მემკვიდრეობით გადაეცემოდა და გადაეცემა ეკლესიაში ოცი საუკუნის განმავლობაში. იესო ქრისტემ ეკლესიის მეთაურად მეორედ მოსვლამდე მოციქული პეტრე, რომის პირველი ეპისკოპოსი და მისი მემკვიდრენი, მისი მოსაყდრენი დაადგინა.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანები აღიარებენ ეპისკოპოსის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ეკლესიაში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ვატიკანის II კრების განმარტებით, არა მარტო ეპისკოპოსი – მოციქულთა მემკვიდრენი, არამედ, ასევე, მღვდლებიც მოციქულთა დანიშნულებასა და საქმეს იღებენ საკუთარ თავზე.

მღვდლებიც, რომლებიც ეპისკოპოსების ხელდასხმით იღებენ მღვდლობის საიდუმლოს, უფლებას მოიპოვებენ, აღავლინონ საღმრთო წირვა და ეკლესიის სახელით თავად აღასრულონ საიდუმლონი. ღმრთის მიმართ ღმრთის ერის მიერ მიტანილი მსხვერპლი კი მხოლოდ მაშინ არის სრული და სრულყოფილი, როცა ის მღვდლის შუამავლობით აღესრულება. სწორედ მღვდლებს „ღმერთმა მადლით დააკისრა, იყვნენ იესო ქრისტეს მსახურნი ხალხში და აღასრულონ სახარების წმიდა მოვალეობა, რათა ხალხის შემონაწირი მიღებულ იქნეს და სული წმიდაში განიწმიდოს“, – ამბობს ვატიკანის II კრების დეკრეტი.

ეკლესიის გარეშე, მღვდლის გარეშე ხალხის მიერ მსხვერპლი ღმრთის მიმართ არ შეიწირება, ამიტომაც მხოლოდ მღვდელია უფლებამოსილი, აღასრულოს წმიდა წირვა, შესწიროს წმიდა მსხვერპლი – ევქარისტია. და ეს უფლებამოსილება გაგრძელდება მანამ, სანამ უფალი არ მოვა ხელმეორედ: „მღვდელთა მსახურების მეშვეობით ერთგულთა ეს სულიერი მსხვერპლი სრულდება ქრისტეს – ერთადერთი შუამავლის – მსხვერპლთან ერთობაში. მისი მიტანა ხდება მღვდელთა ხელით, მთელი ეკლესიის სახელით, უსისხლოდ და საიდუმლოდ, ვიდრე მოვა თავად უფალი. ამისკენ მიისწრაფვის მღვდელთა მსახურება და აქ სრულდება ის“.

ასევე, მხოლოდ მღვდელია უფლებამოსილი, მიუტევოს ადამიანს ჩადენილი ცოდვები აღსარების საიდუმლოს აღსარებისას და ღმერთთან და ეკლესიასთან ხელახალი შერიგებისას, მაგრამ ეს უფლებამოსილება არ აღნიშნავს მღვდლის არც პირად დამსახურებას, არც მის პირად სიწმიდეს, არც პირად გამორჩეულობას. იგი, ქრიტესგან მინიჭებული უფლებამოსილებით, ეკლესიის სახელით მიუტევებს ცოდვილს ჩადენილ ცოდვებს და მოუწოდებს მას, დაუბრუნდეს ცოდვისაგან წაუბილწავ უმანკო მდგომარეობას. მღვდელსავე აქვს უფლება, უფალთან შესარიგებლად ეპიტიმია დაადოს აღმსარებელ ცოდვილ ქრისტიანს.

როდესაც მღვდელი ხელდასხმას მიიღებს ეპისკოპოსისგან, ქრისტეს ერმა კარგად იცის, რომ ამ დღიდან მღვდლის მთელი მსახურებისა და მთელი ცხოვრების განმსაზღვრელი დანიშნულება ისაა, განადიდოს ღმერთი, ხოლო ღმრთის დიდებაა „ადამიანებმა შეგნებულად, თავისუფლად და მადლიერებით მიიღონ ქრისტეში აღსრულებული ღმრთის საქმე და ის მთელი თავისი ცხოვრებით გამოხატონ“.

აღსანიშნავია, რომ მღვდელი თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით, თავისი ყოველდღიური ყოფნით მორწმუნეთა შორის ქრისტეს გამოხატავს და ასახავს. მნიშვნელოვანია, რომ სამღვდელო კანდიდატი ადამიანთაგან შეირჩევა, იგი ადამიანთაგანია და ადამიანებს ემსახურება. ამავე დროს, აუცილებელია, რომ მღვდელი ადამიანებს შორის ცხოვრობდეს როგორც ყოველი მათგანის ნამდვილი ძმა. ამითაც იგი ქრისტეს ბაძავს, იმეორებს, გამოხატავს: ღმრთის ძე, უფალი იესო ქრისტე ადამიანებს შორის მოვიდა და მათთან, მათ შორის, მათ გარემოში ცხოვრობდა, მაგრამ მისი მიზანი ადამიანთა მსახურება და მათი ხსნა იყო. მღვდელიც, ასევე, ადამიანთა შორის მოქმედებს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა ხსნას ემსახურება.

იესო ემსახურებოდა იმ ხალხს, რომლის შორისაც იგი ადამიანური ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ თავისი ქადაგებით, სწავლებით, განკურნებითა და დამშვიდებით, მან ადამიანთა გარემოში ღმრთის სასუფეველი შემოიტანა, რითაც კაცობრიობის ისტორიაში ღმრთის ცხოვრება დაამკვიდრა. თავისი სიკვდილითა და აღდგომით უფალმა აჩვენა საკუთარი თავის სრული მსხვერპლშეწირვა მთელი კაცობრიობისათვის. ამ საქმეშიც მღვდელი ქრისტეს სრული განხორციელება უნდა იყოს. მღვდლის სიტყვითა და ქმედებით, მსახურებითა და მსხვერპლით ქვეყანა უნდა ხედავდეს განხორციელებულ ქრისტეს. ყოველი მღვდელი თავისი ყოველდღიური ცხოვრებით შეახსენებს ადამიანს იესოს მუდმივად მყოფობას ჩვენს შორის.

მღვდელი მოძღვარია, მწყემსია, რომელიც კარგად ცნობს თავის სამწყემს ცხვრებს და თავის ირგვლივ შემოიკრებს ქრისტეს ფარას, მაგრამ მისი ყურადღების მიღმა არ რჩებიან ისინიც, ვინც ქრისტეს სამწყოს, მის ჭეშმარიტ ეკლესიას არ ეკუთვნიან, მაგრამ ვისი გულიც უნდა აივსოს – და სწორედ მღვდელმა უნდა აავსოს – ქრისტესაკენ სწრაფვით. ამისათვის მღვდელმა უნდა ისარგებლოს და გააღვივოს საკუთარ თავში არა მარტო ის ღირებულებები, რომელიც ღმრთის სასუფეველს ირეკლავს ამ ქვეყნად, არამედ ისინიც, რომელიც ფასობს, ზოგადად, ადამიანთა საზოგადოებაში. ამგვარ ღირებულებებს ჩამოთვლის ვატიკანის II კრება. ესენია: სიკეთე, გულწრფელობა, სულის სიმტკიცე, მდგრადობა.

მღვდელი ორმაგი მაგალითია, ნიმუშია, სახეა: ერთი მხრივ, იგი იესოს მაგალითს ჰბაძავს და მიჰყვება მას, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ნიმუშს აძლევს – ქრისტეს მიდევნებით – ნებისმიერ ადამიანს, ეკლესიის შვილსა თუ ეკლესიის გარეთ მყოფ ადამიანს. ამიტომაა ასე მნიშვნელოვანი მღვდლის ადგილი და დანიშნულება როგორც ეკლესიისათვის, ისე საზოგადოებისათვის.

„ხარისხის საიდუმლოს ძალით, ახალი აღთქმის მღვდელმსახურები ღმრთის ერში და ერისათვის მამისა და მოძღვრის დანიშნულებას აღასრულებენ, მაგრამ, ამავე დროს, ქრისტეს ყველა ერთგულთან ერთად, ისინიც უფლის მოწაფეები არიან, რომლებიც, საღმრთო მადლის მოწოდებით, მისი მეფობის მოზიარენი გახდნენ“, ადასტურებს ვატიკანის II კრების დეკრეტი მღვდელთა მსახურებისა და ცხოვრების შესახებ.

რომან თორელი

სტამბოლის მამათა სავანე და აკაკი წერეთელი



XIX საუკუნის 60-იან წლებში აღმოცენებული სტამბოლის მამათა სავანე იმთავითვე ქართული კულტურის მძლავრ კერად ჩამოყალიბდა. იქ მოღვაწე პირები მხოლოდ სასულიერო სფეროთი არ შემოიფარგლებოდნენ. რუსიფიკატორული პოლიტიკით შევიწროებული ქართველი ინტელიგენციისა და სასულიერო პირების ეროვნულ-სამეცნიერო მოღვაწეობა ფართოდ გაიშალა. მიუხედავად იმისა, რომ იგი კათოლიკურ სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენდა, ადგილი არ ჰქონია სარწმუნოებრივ შეზღუდვას მაჰმადიანი თუ მართლმადიდებელი ქართველებისათვის.

სტამბოლის მამათა სავანის არქივში დაცული მასალები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის როგორც ქართველ კათოლიკე მამათა მამულიშვილურ მოღვაწეობაზე, ისე მათ სამშობლოსთან, ქართველ ინტელიგენციასთან და სტამბოლში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებთან მჭიდრო კავშირსა და თანამშრომლობაზე.

მოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ სტამბოლში მოღვაწე მამები უყურადღებოდ არ ტოვებდნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. უფრო მეტიც, ცდილობდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ ქვეყნის წარმატების საქმეში. სტამბოლის ქართველი მამების საქართველოსთან, ქართველ ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია მათი დამოკიდებულება აკაკი წერეთელთან, რაც სტამბოლში, პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ მონასტერში, აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის დაარსებით გამოიხატა. გაზეთი „დროება“ 1909 წელს ქართველ საზოგადოებას შეახსენებდა, რომ სტამბოლში მრავალი ქართველი ცხოვრობდა. ამასთანავე, ამცნობდა მათ გადაწყვეტილებას: „იქაურ ქართველობას გადაუწყვეტია მგოსნის, აკაკი წერეთლის სახელობაზე დააარსოს საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველო. სამკითხველოს დამაარსებელნი სთხოვენ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, გაუგზავნოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს წიგნები, საზოგადო მოღვაწეთა და მწერლების სურათები და ჟურნალ-გაზეთები. კარგი იქნება, ყველა ჩვენი ქართული გამოცემის თითო ცალს დაუთმობდეს სტამბოლის ბიბლიოთეკას“ (გაზეთი „დროება“, №21, 1909, ქართული სამკითხველო სტამბოლში).

როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, სტამბოლის ქართველი მამების გადაწყვეტილება, აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ, იყო აკაკის პატივსაცემად განზრახული ღონისძიებების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. მათ სურდათ, რომ აკაკის იუბილეს მოწყობამდე დაეფუძნებინათ ბიბლიოთეკა: „ჩვენი სურვილი იყო, იუბილეისათვის მზათა გვქონოდა აკაკის სახელობაზე დაარსებული ბიბლიოთეკაც, რომ იუბილესთან ბიბლიოთეკის გახსნით დღესასწაული გამოსულიყო უფრო სრული და აქაურ ქართველებსაც თვალწინ ჰქონოდათ სამშობლოს მოსაგონრად ქართველ ხალხის გონებრივი ნაშრომი და იმის მესვეურთა სურათები“ (გაზეთი დროება“, № 101, 1909, აკაკის იუბილე სტამბოლში).

ვლადიმერ წერეთელი თავის ერთ-ერთ კორესპოდენციაში, „სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ამბავი“, დეტალურად აღწერს ბიბლიოთეკის დაარსების სამზადისს. კერძოდ, აღნიშნავს, რომ იქ მცხოვრები ქართველების სურვილი ყოფილა ბიბლიოთეკის დაარსება მონასტერში, რაც ფერიქოის მონასტრის ტერიტორიული მდებარეობითაც იყო განპირობებული და იმითაც, რომ მას გააჩნდა შესაფერისი ფართი და, რაც მთავარია, სხვადასხვა დროს შეძენილი ქართულ-ხუცური ნაბეჭდი ძველი და ახალი უცხოური წიგნები. წერილის ავტორი ხაზს უსვამს მამა სტეფანე გიორგაძის, მამა მერაბისა და სხვა მრავალ ქართველთა მიერ გაწეულ ღვაწლს ბიბლიოთეკის დაარსებაში (გაზეთი „დროება“, № 101, 1909, აკაკის იუბილე სტამბოლში).

ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში ბიბლიოთეკა უნდა გახსნილიყო ჯერ კიდევ 1908 წელს, მაგრამ საქართველოდან წიგნებისა და ქართველ მოღვაწეთა სურათების დაგვიანებით მიწოდებამ განაპირობა მისი დაარსება და თვით აკაკის იუბილეს მოწყობა 1909 წლის გაზაფხულზე. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დიდი მოწონებით შეხვდნენ ბიბლიოთეკის დაარსების საკითხს და დიდი მხარდაჭერაც აღმოუჩინეს. კერძოდ, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უსასყიდლოდ გაუგზავნია 30 ლირის ღირებულების წიგნები და სხვა დახმარებაც აღუთქვამს. ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა („დროება“, „ჩვენი საქმე“, „ძალა“, „ფასკუნჯი“) გაუგზავნეს თავიანთი გამოცემების თითო-ოროლა ეგზემპლარები. წიგნის მაღაზიის, „ცოდნის“ პატრონი მერკვილაძე დაპირდა მის მიერ გამოცემული წიგნების გაგზავნას და ა.შ. დასახელებული ბიბლიოთეკის დაარსების ერთ-ერთი სიკეთე იმაშიც მდგომარეობდა, რომ

იმთავითვე მასთან დააფუძნეს გაჭირვებულთა დამხმარებელი კასა და მუზეუმი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტამბოლში აკაკის სახელობის ბიბლიოთეკა იმთავითვე იქცა იქ მცხოვრები ქართველების თავშეყრის ადგილად. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ იქაურმა ქართველმა ვაჭრებმა მიიღეს გადაწყვეტილება და განახორციელეს კიდეც ის, რომ კვირა-უქმე დღეებში დაკეტავდნენ დუქნებს, რათა კვირაში ერთი დღე ჰქონოდათ თავისუფალი, რომ ესარგებლათ ბიბლიოთეკით და ჰქონოდათ ქართული წიგნების კითხვის დრო და საშუალება. გაზეთ „დროების“ ერთ-ერთი კორესპოდენციით ვგებულობთ, რომ ვინც ამას არ შეასრულებდა, სამკითხველოს სასარგებლოდ 5 ლირას გადაიხდიდა (ვ. წერეთელი, „სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ამბავი“, გაზ „კოლხიდა“, 1911. №156).

მოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველ კათოლიკეთა სავანის მამები მზრუნველობას არ აკლებდნენ ბიბლიოთეკას და ცდილობდნენ მისი წიგნების ფონდის გაზრდას. აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ალიოზ (შიო) ბათმანაშვილის წერილი მიხეილ თამარაშვილისადმი: „აქ წიგნების რიცხვი ანგარიშში თითქმის ჩასაგდები არ არის, უფრო დიდი ყურადღება შინაარსს უნდა მიექცეს. ამ მხრივ, ჩვენი ბიბლიოთეკა ვერ დააკმაყოფილებს განათლებულ ადამიანს... ისტორიული დარგი დიდ სიღარიბეშია. იმედია, დახმარებას აღმოუჩენთ ნორჩ ბიბლიოთეკას და თქვენს მზრუნველობას არ მოაკლებთ“ (სტამბოლელი ქართველები, გაზ. დროება, №99, 1009).

შიო ბათმანაშვილს მიაჩნდა, რომ ბიბლიოთეკა დიდ სარგებლობას მოუტონდა არა მარტო იქაურ ქართველობას, არამედ საქართველოდან იძულებით წასულ ქართველებს, რომლებსაც კონსტანტინოპოლში უწევდათ ჩასვლა. მან თავის ერთ-ერთ წერილში, ბიბლიოთეკის მკითხველთა სახელით, მადლობა გამოუცხადა იმ პირებს, რომლებიც ზრუნავდნენ ბიბლიოთეკაზე. კერძოდ, ვლადიმერ წერეთელს „სახალხო გაზეთისა“ და „კოლხიდას“ ერთი წლით გამოწერის გამო, უცნობ ქველმოქმედს, რომელმაც გადასცა „ერი და კაცობრიობა“, ჯორჯიაშვილის „ეროვნულ საკითხთა გარშემო“ და ა.შ. (სტამბოლის ქართველ მამათა სავანის მასალები, შ. ბათმანაშვილის წერილი მ. თამარაშვილისადმი, 1911წ.).

უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ ბიბლიოთეკაში ქართველი მეცნიერების მუშაობა და, საერთოდ, თანამშრომლობა განახლდა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს. კერძოდ, პროფესორი შუშანა ფუტკარაძე იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც დაიწყო მუშაობა ქართველ მამათა მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკაში არსებულ მასალებზე და დღემდე სწორედ იგი ხელმძღვანელობს ამ ბიბლიოთეკის მასალების სისტემატიზაციისა და კატალოგიზაციის საქმეს, რათა მას სრულყოფილი სახე მიეცეს. დღეისათვის იგი არქივისა და ფონდის სახით არსებობს. სტამბოლში შუშანა ფუტკარაძის პირველი მასპინძლები იყვნენ ზაზაძეების ოჯახის ღირსეული წარმომადგენლები პავლე და სიმონი, ის ადამიანები, რომლებმაც თავის დროზე დაიცვეს და დღემდე პატრონობენ აღნიშნულ ბიბლიოთეკას. ამასთანავე, მათ მიერ მონათხრობი მასალებითაც შეივსო შ. ფუტკარაძის შვიდას გვერდიანი ნაშრომის „ჩვენებურების ქართული“, I ტომი (გამოიცა 1993 წელს). სწორედ მაშინ გაეცნო იგი ამ მდიდარ საგანძურს. გასული საუკუნის 90-იან წლებში სტამბოლის მამათა სავანის ქართული ბიბლიოთეკა მოინახულა პროფესორმა გურამ შარაძემ. მან აღნიშნულის შესახებ გარკვეული ინფორმაცია შეიტანა კიდეც ნაშრომის – „უცხოეთის ცის ქვეშ“ მესამე წიგნში. ავტორს მითითებული აქვს ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერების ვრცელი სიაც. მათ შორის დავასახელებთ: გალობანი, წმინდანთა ცხოვრება, ოთხთავი, სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, შემოკლებული გრამატიკა ფრანგული; საქრისტიანო მოძღვრება ახალციხის სოფელ არალიდან, 1913 წელი, მოტანილი ქ. სტამბულში შალვა ვარდიძის მიერ; პატარა საქრისტიანო მოძღვრება, ლოცვანი, სომხურ-ქართული ლექსიკონი, წმინდა ნინოს გალობა და ა.შ. დღეისათვის ბიბლიოთეკაში გარჩეული და აღწერილია 90000 ერთეული ხელნაწერი და წიგნი და დასამუშავებელია კიდევ რამდენიმე ათასი ერთეული.

უნდა აღინიშნოს, რომ ფერიქოის მონასტრის მამების მიერ აკაკის იუბილეს აღნიშვნა ერთ-ერთი უდიდესი ეროვნული ღონისძიება იყო, რომელიც კი მოუწყვიათ საერთოდ სტამბოლში მცხოვრებ ქართველებს.

ქართველ კათოლოიკეთა სავანე კონსტანტინოპოლში

აკაკის საიუბილეო კომიტეტმა (თავმჯდომარე ვლადიმერ წერეთელი) იუბილეს დღედ 26 აპრილი აირჩია, მოსაწვევი ბარათები დაუგზავნა თანამემამულეებს. ფერიქოის მონასტერში, ერთ დიდ დარბაზში, აკაკის სურათს ამშვენებდა ყვავილები და წარწერა: „აკაკი ჩვენი, ვითარცა შოთა რუსთველი და სარგის თმოგველი“. სტამბოლში აკაკის იუბილეს თვითონ აკაკი არ დასწრებია. ამ იუბილეს მონაწილენი იყვნენ სტამბოლში მცხოვრები ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები თავიანთი ოჯახებით, ირანის შაჰის ბრძანებით გაძევებული რუსული გაზეთების კორესპოდენტი ი. ამირაჯიბი და, რაც მთავარია, სტამბოლში არსებული ქართული მონასტრების კათოლიკე მამები

და მოწაფეები.

პარაკლისი გადაიხადა ფერიქოის მონასტრის წინამძღვის მოადგილემ, პატრმა სტეფანე გიორგიძემ (წინამძღვარი იყო ბენედიქტე ვარდიძე), მანვე წარმოთქვა პირველი სიტყვაც. იასე რაჭველმა წაიკითხა აკაკის ბიოგრაფია და მისი რამდენიმე ლექსი. სიტყვით გამოვიდა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე – ვლადიმერ წერეთელი, მან მოითხოვა, გაეგზავნათ აკაკისთვის მილოცვის ბარათი.

უნდა აღინიშნოს, რომ საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვით გამოვიდა თბილისიდან შემთხვევით ჩასული პატრი – დომინიკე მუღაშაშვილი (პაწაძე). მან დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, თუ რაოდენ მძიმე წელი იყო ქართველი ერისათვის 1907 წელი – ილიას დაკარგვა. შემდეგ დეტალურად მოუთხრო 1908 წელს საქართველოში გადახდილ აკაკის იუბილეზე. მან, დაიანახა რა სტამბოლში მცხოვრებ ქართველთა დიდი ერთსულოვნება, შემდეგი სიტყვებით დაამთავრა თავისი გამოსვლა: „ვრწმუნდები, რომ სამი სარწმუნოების სამი შტო ქართველთ გვაროვნობისა, ისევ ერთ ხეზე ყოფილა დაბნეული და თავის ფესვს არ მოშორებია. გაუმარჯოსთ იმ ქართველთ მოღვაწეთ, რომელთაც ძირი ამ ხისა უხვად ურწყვიათ თავიანთ სისხლითა და ცრემლით“ (სტამბოლის ქართველ მამათა სავანის მასალები, შ. ბათმანაშვილის წერილი მ. თამარაშვილისადმი, 1911წ.).

დომინიკე მუღაშაშვილის სიტყვების დასაბუთებას წარმოადგენდა ის ძალისხმევა და შემოწირულობა, რომელიც სამი სარწმუნოების ქართველებმა გაიღეს აკაკის იუბილეს ჩასატარებლად და ბიბლიოთეკის დასაარსებლად. საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ ვლადიმერ წერეთელმა თავის სიტყვაში საზოგადოებას მოახსენა, რომ ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის შემოსული იყო სულ 1490 ყურუში და ხარჯი კი შედგენდა 1439 ყურუშს.

სტამბოლში ჩატარებული აკაკის იუბილეს შესახებ საქართველოში საზოგადოებამ შეიტყო გაზეთ „დროებაში“ უცნობი ავტორის მიერ ქართველიშვილის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილით – „აკაკის იუბილე სტამბოლში“. საყურადღებოა ის, რომ ავტორი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოთქვამდა სტამბოლის ქართველი კათოლიკე მამების მისამართით: „დიდი მადლობის ღირსია წერეთელი, რომლის თაოსნობითაც მოეწყო იუბილე. მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ქართველ კათოლიკეთა პატრები და ძმები, რომელნიც არ მისდევენ გადამახინჯებულს ბერულს ფორმალისტობას და თავიანთ ნათლის სახით ჩვენი შეკრებილობა დაამშვენეს, ხალხში ჩადგნენ, ვითარცა მწყემსნი კეთილნი და აკაკის დღეობა ერთი-ორად საგულისხმო გახადეს“ (სტამბოლის ქართველ მამათა სავანის მასალები, შ. ბათმანაშვილის წერილი რედაქტორისადმი, 1912 წ.).

სტამბოლში მცხოვრებ ქართველთა მიერ გადახდილ აკაკის გრანდიოზულ იუბილეს მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა – მას არ ესწრებოდა თვითონ აკაკი. მაგრამ, ღმერთის ნებით, ეს შეხვედრა ძალიან მალე შედგა.

როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, შემთხვევით მოხდა აკაკისა და სტამბოლში მცხოვრები ქართველების შეხვედრა, შეხვედრა, რომელიც ნამდვილ ზეიმად იქცა. სტამბოლელმა ქართველებმა ისარგებლეს და გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ევროპაში სამკურნალოდ მიმავალ აკაკის. აკაკის სტამბოლში ჩასვლა მხოლოდ წინადღით გახდა ცნობილი სტამბოლის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარის – ვლადიმერ წერეთელისათვის. „მიუხედავად იმისა, რომ აკაკის სულ რამდენიმე საათი მოუწია სტამბოლში გაჩერება, მათ შეძლეს ეჩვენებინათ მისადმი უდიდესი პატივისცემა და სიყვარული: „გემი შემოვიდა ნავთსადგურში და ბაქანზე გამოჩნდა ჩვენის მხცოვანი მგოსნის ჭაღარით მოსილი თავი. ძნელი სათქმელია სიტყვებით ის პირუთვნელი სიხარული და აღტაცება, რომელიც გამოიჩინეს იმის დანახვაზე ამ შორეულ უცხოეთში გადმოსულმა ქართველებმა. დიდი, პატარა ყველა მოეშურებოდა თავის თვალით ენახა სამშობლოს საკეთილდღეოდ მწარე მუშაობაში დაბერებული მოხუცი, რომლის თავზე გრგვინვით გადაიარა ჩვენი ქვეყნის უკანასკნელ ნახევარ საუკუნის მწარე დღეებმა“ (გაზეთი „გამარჯვება“, ი. მაისურაძე, დომინიკე მუღაშაშვილი, №14, გვ.4, 1980).

სტამბოლში ჩასულმა აკაკიმ უპირველესად ქართველ კათოლიკეთა ფერიქოის მონასტრის ნახვა მოისურვა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო. მან კარგად უწყოდა ამ სავანის მამების ეროვნული, კულტურული და საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ე.წ. საზოგადო სადილის შემდეგ, აკაკის დაათვალიერებინეს აია სოფია და პარლამენტი, სადაც შეხვდნენ ქართველი მაჰმადიანი დეპუტატები.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სტამბოლის სავანის მამების აკაკისადმი დამოკიდებულება ერთ-ერთი საინტერესო და საუკეთესო მაგალითია ფერიქოის მონასტრის საუკუნოვანი ისტორიიდან მათი ეროვნული მოღვაწეობის შესახებ. ეს ერთი მომენტი ნათელს ჰფენს ამ მონასტრის მამათა მრავალმხრივ მოღვაწეობას. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სტამბოლის ფერიქოის ქართველ მამათა სავანე იმთავითვე იქცა სტამბოლში მცხოვრები ქართველების, განურჩევლად სარწმუნეობისა და სოციალური მდგომარეობისა, თავშეყრის კერად. იქ განხორციელებულმა აკაკისადმი მიძღვნილმა ღონისძიებებმა კი ხელი შეუწყო მათ ურთიერთდაკავშირებას ეროვნულობის ნიშნით. როგორც ცნობილია, სტამბოლში დღესაც მრავალი ქართველი ცხოვრობს. სასურველია, რომ მათი ახლო ურთიერთობის ტრადიცია, რომელიც არსებობდა გასული საუკუნის დასწყისში, კვლავ აღსდგეს და გაგრძელდეს... ამ ბოლო დროინდელი ინფორმაციით, სტამბოლელი ქართველები აპირებენ თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ცენტრის შექმნას. როგორც ცნობილია, ამ საქმეს სათავეში უდგას 2000 წელს შექმნილი თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდი (ფონდის პრეზიდენტია საამი სეჩქინი, გენერალური მდივანი მევლუდ ართვინელი), დასახელებული ფონდის წევრები არიან თურქეთში ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, წარმოშობით ქართველები: სიმონ ზაზაძე, ნიჰათ გოქიითი (გოგიტიძე), ისმეთ აჯარი (ვაჭარიძე), ისმეთ დინდარი (მიქელაძე), ერგუნ ათაბაი (ქოქოლაძე), რეფაეთტინ შაიჰინი (ლორთქიფანიძე), ფაჰრეთინ ჩილოღლუ (ჩილაშვილი) და ა.შ. ვიმედოვნებთ, რომ ასეთი ცენტრის შექმნა კიდევ უფრო დააახლოებს ორ მეზობელ ხალხს ერთმანეთთან და ხელს შეუწყობს მათ კეთილმეზობლურ თანაარსებობას.

ნატო ყრუაშვილი

ᲯᲕᲠᲘᲡ ᲪᲔᲯᲕᲔᲑᲘ

მას შემდეგ, რაც ჟურნალ „საბა“-ში (2010 წ. №3) წავიკითხე მ. პიერ დიუმულენის სტატია იმის შესახებ, თუ სუდარის მიხედვით როგორ უნდა ყოფილიყო გამოსახული ჯვარცმული ქრისტეს ტერფები, მინდა, გკითხოთ: რატომაა, რომ ზოგ შემთხვევაში ჯვარცმაზე ვხვდებით იესოს ტერფებს არა ერთმანეთზე გადადებულს, არამედ გვერდიგვერდ გამოსახულს? ჩემი სულიერი მამა თვლის, რომ მხოლოდ ის ჯვარცმაა ჭეშმარიტი, რომელზედაც იესოს ტერფები გვერდიგვერდ აქვს გამოსახული. მართალია თუ არა ეს? წინასწარ გიხდით მადლობას.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘ

პირველ რიგში, არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ჯვარცმული იესოს – „იუდეველთათვის საცდურს და ბერძენთათვის – უგუნურებას“ (1კორ. 1,23), გამოსახულება აღაშფოთებდა ებრაელებს და ქილიკს იწვევდა წარმართებში. სწორედ ამის გამო იყო, რომ ქრისტიანული იკონოგრაფია, საკუთარი რწმენის გამოსახატავად, კარგა ხნის მანძილზე იყენებდა მხოლოდ ჯვარს (სხვადასხვა ფორმებით: ტაო, ღუზა) და მოძღვართან დაკავშირებულ სიმბოლიკებს (თევზი, მტრედი, კრავი); შემდეგ შემოვიდა სკულპტურები, მაგალითად, კეთილი მწყემსის, უფრო მოგვიანებით კი – ჯვარცმული ქრისტეს, აღმდგარი ქრისტესა და ქრისტე პანტოკრატორის გამოსახულებები.

თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ ჯვარი, რასაც ამოწმებს კიდეც ჩვ.წ.აღ-ის I საუკუნიდან არსებული სურათები, ასევე, ჯვრის ნაჭდევები, რომლებიც აღმოაჩინეს ერკოლანის გათხრებისას ერთ-ერთ სახლზე, ნანგრევებად ქცეულ პომპეის ერთ ნაგებობაზე და კატაკომბებში.



ჯვრის გამოყენება ქრისტეს გამოსახულებით გაცილებით გვიან დამკვიდრდა, IV ს-ში, რაც იმით დასტურდება, რომ იმპერატორი კონსტანტინე I (ხოლო უფრო მოგვიანებით, იმპერატორი თეოდიუს დიდი) კრძალავს ჯვარცმის გამოყენებას და მას მძიმე ცოდვად მიიჩნევს.

ჯვარზე ქრისტეს გამოსახულებებიდან ყველაზე უძველესია:

● ანტიქრისტიანული გრაფიტი, სადაც ჯვარცმული ირონიის საგანია; სავარაუდოდ, იგი ეკუთვნის პალატინის (ჩვ.წ-აღ-ის III ს-ის I ნახ.) საიმპერიო პაჟს. აქ ჯვარცმული წარმოდგენილია ცხოველის თავით, მის წინ დამხობილ პიროვნებას აქვს წარწერა: „ალასემენი ადიდებს ღმერთს“. ცხოველის თავი გაიგივებულია ვირის ან ჯორის თავთან.

● ლონდონის მუზეუმში (British Museum) დაცული სპილოს ძვლის ყუთზე გამოსახული ჯვარცმა, ჩვ.წ-აღ-ის 420-430 წლებით დათარიღებული. ამავე პერიოდს მიეკუთვნება სხვადასხვა იარაღები, მედალიონები, ბეჭდები....

● რომში, (Vს.) წმ. საბინას პანელი, რომელიც პალეოქრისტიანული სკულპტურის ერთ-ერთი იშვიათი ნიმუშია. პანელზე ქრისტე წინა პლანზე, სცენის ცენტრშია გამოსახული, ორ ავაზაკს – კეთილსა (დისმასიუსი) და ბოროტს (გესტასიუსი) შორის. აქ ქრისტე წარმოდგენილია თვალებგახელილი, გრძელი თმებითა და წვერით, მკლავები გაშლილი აქვს მლოცველის მსგავსად და მხოლოდ ხელები აქვს მილურსმული. ორივე ფეხი, სხვა გამოსახულებებისგან განსხვავებით, მიწას ეყრდნობა და არ არის მილურსმული. თავი მარჯვნივ აქვს გადახრილი, რის გამოც ქრისტიანული პიეტას ტრადიცია ვარაუდობს, რომ იგი კეთილი ავაზაკისკენ არის მიბრუნებული, რათა უთხრას: „დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში.“ (ლუკა 23,43). ქრისტეს სხეული თითქოს უწონოა, ხოლო მისი პირისახე ცოცხალი, რაც ქრისტიანული უწყების სისრულეზე მიანიშნებს: ქრისტე მოკვდა და აღდგა, იგი ცოცხალია. სცენა მოთავსებულია კედლის ფონზე, რითაც იგი უკავშირდება იერუსალიმის კედელს, რომლის გარეთაც, გოლგოთაზე, აღიმართა ჯვარი. კედელზე ჩანს სამი დიდი ფრონტონი, მარჯვენა მხარეს პატარა სარკმელია, რაც, ალბათ, კეთილი ავაზაკისთვის შეპირებული ხსნის ალეგორიაა (იხ. ილუსტრაცია).

● V ს-ში, პალეოქრისტიანულ ბაზილიკებში და მოზაიკებზე გამოჩნდა „ძვირფასთვლიანი ჯვარი“, – დიდებით მოსილი იესოს სიმბოლო და ვაზის ლერწებით მოკაზმული ჯვარი – სიცოცხლის ხის სიმბოლო.

● 451 წელს, პაპი ლეონ დიდი, ქრისტეს ორბუნებოვნების, – ღვთიურისა და ადამიანურის, ხელახალი დადასტურების დროს, აცხადებდა, რომ იგი „აცვეს ჯვარს და განგმირეს სამსჭვალებით“.

● ყურადღებას იმსახურებს VI ს-ს რაბულას სირიული კოდექსის მინიატურა (586 წ.); მასზე ქრისტიანული რწმენა დამოწმებულია ჯვრით, როგორც დიდებისა და სიკვდილზე გამარჯვების ნიშნით. სურათზე იესოს პირისახე შარავანდედითაა მოსილი, აქვს წვერი და თვალგახელილია, შემოსილია უსახელო მანტიით – კოლობიუმით ანუ სამღვდელო სამოსელით. ოთხი სამსჭვალით ჯვარცმული ქრისტეს გვერდით ჩანან ავაზაკები, ჯარისკაცები, რომლებიც ერთობიან; იქვე დგანან

იოანე მახარებელი, მარიამი და სხვა მადლმოსილი დედაკაცები. მინიატურის ქვედა ნაწილში აღდგომის შემდგომ მოვლენებს ვხედავთ: მარცხნივ ანგელოსი, რომელიც დედაკაცებს უფლის მკვდრეთით აღდგომას ახარებს, ხოლო იესოს მარჯვნივ, ბაღში, ჩანს ორი დედაკაცი, რაც ავტორის ჩანაფიქრით, მიანიშნებს იმაზე, რომ ჯვარცმის მოვლენა ვერ გაეთიშება აღდგომას.

● 692 წ. ტრულის კრებაზე შეეხნენ გამოსახულებების მიმართ მოკრძალების საკითხს: წმიდა ჯვრის მიმართ მოკრძალებაზე განსაკუთრებით საუბრობს 73-ე კანონი; 82-ე კანონი კი ადგენს ქრისტეს გამოსახვას ადამიანური ფორმით და არა – სიმბოლიკით (მაგ; კრავი). ანუ კანონი მოითხოვდა, რომ ქრისტე ყოველთვის ყოფილიყო გამოსახული ჯვარცმულის ფორმით; ფეხების მდგომარეობაზე არაფერი არ თქმულა.

● შემდგომ, კონსტანტინოპოლის კრების (696 წ) მიერ დადგინდა, რომ ქრისტე წარმოედგინათ, როგორც ვნებული. აქედან იღებს სათავეს ორი გამომხატველობითი ფორმა: Cristus triunfans – ცოცხალი, სიკვდილზე გამარჯვებული ქრისტე და Cristus patiens – ვნებული ქრისტე.

● ფიგურული გამოსახვის ფორმები (ქრისტეს ვნების მრავლისმეტყველი გამოსახულება ხელოვნების ამა თუ იმ დარგის ჟანრად იქცა), ბუნებრივია, შემდგომში ცვლილებებსაც განიცდიან, როგორც მხატვრული ნორმებით, ასევე კულტურული კონტექსტებით. სწორედ ამით აიხსნება ის მკაფიო განსხვავება, რასაც დღეს ვხვდებით დასავლურ და აღმოსავლურ იკონოგ-

რაფიაში.

ამ მოკლე ექსკურსის შემდეგ, შეგვიძლია გამოვყოთ ორი ჰიპოთეზა იმის შესახებ, თუ რატომ არის ქრისტეს ტერფები გამოსახული ერთმანეთის გვერდიგვერდ:

I ჰიპოთეზა:

თუკი ადრეული ხანის ჯვრებზე ქრისტე გამოსახულია როგორც ცოცხალი და აღმდგარი, ანუ დიდი მღვდელმთავარი (მაგ: სირიული კოდექსის მინიატურა, 586 წ.), მაშინ ლოგიკურია, რომ ტერფების მდებარეობა შეესაბამებოდა არა ჯვარცმულის, არამედ მკვდრეთით აღმდგარის, ანუ ფეხზე წამომდგარის მდგომარეობას, რითაც მიანიშნებდა როგორც მწყემსის, წინამძღოლის, მღვდელმთავრის, თუნდაც სამსჭვალებით დაღდასმულის, ახალ მისიაზე – ცოცხალ მდგომარეობაზე. ამგვარი სურათ-ხატები საოცარი ძალით აკავშირებს ერთმანეთთან ქრისტიანული რწმენის ორ ასპექტს: ჯვარზე მკვდარ (ჯვარი) და აღმდგარ იესოს (ცოცხლად, მღვდელმთავრის სამოსში გამოსახული, წელში გამართული, (უშფოთველი, არა ვნებული სახით); ამრიგად, თანდათანობით, ჯვარცმას ჩამოსცილდა ის ზოგიერთი ელემენტი, რაც აღდგომას უკავშირდებოდა (მაგ; პირისახის გამომეტყველება, სამღვდელო სამოსელი,... სამეფო გვირგვინი) და შემოინახა სულ სხვა ფორმები, რომელთა შორისაა ტერფების მდგომარეობა ფეხსადგამზე (იხ. ილუსტრაცია).

II ჰიპოთეზა:

სიმბოლიკით, რომელიც თევზი-დელფინის სახითაა წარმოდგენილი, ჩვენ შეგვიძლია პასუხი გავცეთ კითხვას, თუ რატომ არის გამოსახული ტერფები გვერდიგვერდ და არა ერთმანეთზე გადადებული. პირველქრისტიანები ამ სიმბოლიკას დიდ დატვირთვას ანიჭებდნენ, გამომდინარე იქიდან, რომ სიტყვა „თევზი“, ბერძნულად ICHTHYS, ანაგრამაში შემდეგნაირად იკითხება: Iesous CHristòs THeou Yiòs Sotér, რაც ნიშნავს: „იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მაცხოვარი“. აქვე, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ქრისტიანებს, მისი სიმბოლური გამოსახვა ქრისტეს რეალობას შეახსენებდა; ჩვეულებრივ, თევზს გამოსახავდნენ ჰორიზონტალურად, მაგრამ მისი ვერტიკალურად გამოსახვისას კარგად დავინახავთ,

რომ თევზის შიდა კონტურები, თუკი მას ჯვარზე ზემოდან მოვათავსებთ, სრულიად მიესადაგება ჯვარცმულის სხეულს; (გავიხსენოთ ფერიცვალების ზოგიერთი ხატი, სადაც უფლის შეცვლილი სხეული ნუშის ფორმის შუქზეა გამოსახული, რაც თავისებურად მოგვაგონებს თევზის ფორმასაც).

რაც შეეხება დასმულ კითხვას, სწორედ აქ დავინახავთ, როგორი მსგავსებაა თევზის კუდსა და ჯვარცმულის გაშლილ ტერფებს შორის (იხ. ილუსტრაცია); ქრისტიანული რწმენის საიდუმლოება ჩადებული იყო არა მხოლოდ თევზის ბერძნულ სახელში, არამედ მის ფორმაში, რომლის ჰორიზონტალურ გამოსახულებაშიც იმალებოდა ჯვარზე გაკრული ქრისტე. აი, რაც შეეხება მეორე ჰიპოთეზას (რომელიც, ალბათ, უფრო წარმოსახვითია), თუ რატომ არის ტერფები ამგვარად გამოსახული, და არა სინდონის მიხედვით, ანუ იმ გზით, როგორადაც რეალურად აკრავდნენ ჯვარზე. მას შემდეგ, რაც ქრისტიანულმა რელიგიამ თავისუფლება მოიპოვა და შეძლო საკუთარი რწმენის მხატვრულად ასახვა, თევზი-დელფინის სიმბოლოკამ ასპარეზი დაუთმო ჯვარცმის სკულპტურულ გამოსახულებებს, მაგრამ შეგნებით თუ შეუგნებლად, მაინც ინახავდა ჯვარცმულის ფორმას გაშლილი ტერფებით.

თუკი ჩვენ მოვინდომებთ ჯვარცმულის ტერფების ამ ორი სხვადასხვა პოზიციის შედარებას, მხოლოდ იმის თქმას შევძლებთ, რომ გაშლილი ტერფები საღვთისმეტყველო გარემოში გაჩნდა, რაც უფლის აღდგომას და თევზის სიმბოლიკას უკავშირდება, ხოლო გადადებული ტერფები თავად ჯვარცმულის რეალობიდან დაიბადა, ანუ როგორც ეს იმ დროს ხდებოდა.

ჯერ კიდევ გვიჭირს პასუხის გაცემა იმაზე, თუ რამ უბიძგა დასავლელ მხატვრებს, განსაკუთრებით XIII საუკუნიდან, რომ ჯვარცმული გადადებული ტერფებით გამოესახათ; რასაკვირველია, ეს არ იყო ტრადიციის უპატივცემლობა, ან სიახლის უგულებელყოფა; ფრთხილი პასუხი შეგვიძლია მივიღოთ იმის გათვალისწინებით, რომ მათ უმთავრესად ამოძრავებდათ ქრისტეს ტანჯვის გამოსახვა, ანუ Cristus patiens (გადადებული ტერფები მთელი სხეულის მდგომარეობას გამოხატავდა, რომელიც საშინელი წამებისაგან იყო მოხრილი), და არა რაიმე ახლის აღმოჩენა. და, ასევე, ალბათ, სურდათ გამოეკვეთათ რიცხვი სამის, როგორც სრულყოფილების მაუწყებელი ციფრის მნიშვნელობა, და არა ოთხისა.

რას გვეუბნება ყოველივე ეს? რომ უნდა დავგმოთ ჯვარცმის ერთი ან მეორე გამოსახვის ფორმა? ვერც ერთი გონიერი მორწმუნე ვერ გაბედავდა მსგავს რამეს. მაშ, რომელი ფორმაა სწორი? გამომდინარე იქიდან, რაც აქამდე ითქვა, ორივე ფორმა სწორია, რადგანაც ორივე პასუხობს ქრისტიანული რწმენის ძირითად არსს, თეოლოგიას, კრებებს, როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური ეკლესიის ტრადიციას, განსხვავებული შტრიხების მიუხედავად, რაც, ცხადია, არ უნდა გახდეს დაპირისპირების ნიშანი.

ისიც ცხადია, რომ თუ კითხვა მეცნიერული კვლევის სფეროდან შორს და ქრისტიანულ რწმენაში ჩაღრმავების სურვილის გარეშე დაისმება, შეიძლება სრულიად ბანალურად და უსახურადაც მოგვეჩვენოს. არასწორია იმის მტკიცება, რომ, უახლესი აღმოჩენების თანახმად, გაშლილი ტერფები არ პასუხობენ ისტორიულ ჭეშმარიტებას, ვინაიდან მისი პირველადი მიზანი სულაც არ ყოფილა ქრისტეს ჯვარზე გაკვრის რეალისტური აღწერა; უნდა გვახსოვდეს, რომ დსაბამიდან ჯვარცმული ქრისტეს ტერფებს სხვადასხვა ფორმით გამოსახავდნენ და ბევრი ისტორიული უზუსტობაც დამკვიდრდა იკონოგრაფიაში: მაგალითად, ბორკილები, რითაც იესოს ფეხები ჰქონდა შეკრული, ან სამსჭვალები მაჯაზე. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი არ პასუხობს სიმართლეს, რადგანაც რომაელები ავაზაკებს ჯვარზე ვენებგამოღებული მაჯებით აჭედებდნენ; ასევე, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ადამიანის სხეული, მაჯებით მილურსმული, ვერ დამაგრდებოდა ძელზე (ეს დეტალი თვალნათლივ ჩანს წმიდა სუდარაზე). ხოლო თუ ჩავთვლით, რომ ჯვარცმულის გადადებული ტერფები ტრადიციის ერთგვარი ღალატი, ახალი ფორმა და ნატურალიზმის უკიდურესი გამოხატულებაა, მაშინ საკმარისი იქნება, მოციქულ პავლეს ზოგიერთ მოსაზრებას გადავხედოთ და მრავალი წმიდანის მისტიკური გამოცდილება გავიხსენოთ.

ფაქტობრივად, ეკლესიის ისტორიაში ყოველთვის იყო მიღებული ჯვრისა და ჯვარცმის მრავალგვარი გამოსახულება და არასოდეს ყოფილა მხოლოდ ერთადერთი – არც წმიდა ჯვრის, და არც ჯვარცმის. ამრიგად, საუბარი კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ჯვარზე, არაკორექტულია; მაქსიმუმ, უნდა ვისაუბროთ დასავლურ და აღმოსავლურ ქრისტიანულ ხელოვნებაზე და არც ის დავივიწყოთ, რომ დასავლეთში დღემდეა შემორჩენილი აღმოსავლური ხელოვნების მრავალი ნაშთი და, პირიქით, მიუხედავად იმისა რომ აღმოსავლეთის ზოგიერთ ნაწილში II ათასწლეულიდან ამაზე საუბარი შეწყდა, რაც აიხსნებოდა უფრო მეტად დასავლური ხელოვნების უარყოფით, და არა – საღვთისმეტყველო მოტივით.

„მართლმადიდებლურია“ თუ „კათოლიური“ ესა თუ ის ჯვარი, ამ საკითხისადმი ისეთი გადაჭარბებული, ზოგჯერ კი ფანატიზმამდე მისული ყურადღება, რასაც საქართველოში იჩენენ მართლმადიდებელი მორწმუნეები, არც ერთ სხვა ორთოდოქსულ ეკლესიაში არ ხდება. ეს ყველაფერი შორს დგას ჭეშმარიტებიდან და ეკლესიის ტრადიციიდან. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ საქართველოში, რამდენიმე წლის წინ, როგორც კათოლიკურ, ასევე მართლმადიდებლურ ოჯახებში (რამდენიმე მართლმადიდებელ ეკლესიაშიც კი!) მოწიწებით ეთაყვანებოდნენ როგორც გადაჯვარედინებული, ასევე გაშლილი ტერფებით გამოსახულ ჯვარცმას.

საშინელებაა, როცა ღმრთის ძის ჭეშმარიტება ტერფების პოზიციაზე და ლურსმნების რაოდენობაზეა დამყარებული; ბოდიშს ვიხდი, თუკი პასუხი გამიგრძელდა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ გარკვეულად პასუხი გაგეცით ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაც ჩვენს საზოგადოებაში იკვეთება უფლის უწმინდესი ტერფების ირგვლივ!

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

აღდგომა, კალენდარი და გაზაფხული

აღდგომა შვებისა და სიხარულის დღესასწაულია. იგი ქრისტიანთა რწმენის სული და გულია, რადგან ასხივოსნებს ჩვენს იმედს ჯოჯოხეთის ძლევისა და სიკვდილზე გარდაუვალი გამარჯვების შესახებ. ესაა იდეალი, რომლის ხორცშესხმისათვის მორწმუნე მუდამდღე უნდა ზრუნავდეს; საკუთარ არსებაში ზრდიდეს და ავითარებდეს ნათელს, რომელიც ქვეყნიერებას კონკრეტულ ჟამს და კონკრეტულ სივრცეში მოევლინა. იმისათვის, რომ ეს ნათელი ადამიანებმა უკეთ გაიაზრონ და შეიმეცნონ, ეკლესიის მამებმა და წმინდა კრებებმა ყველასათვის გასაგებ ენაზე არა მარტო გადმოსცეს აღდგომის არსი და შინაარსი, არამედ იმაზეც მიგვითითეს, თუ ასტრონომიული წელიწადის რომელ დღეს უნდა ვიდღესასწაულოთ იგი.

ქრისტე ჯვარს ებრაელთა პასექის პირველ დღეს, პარასკევს, აცვეს. მესამე დღეს, კვირას, ცისკარზე იგი აღდგა. ამის გამო მკვდრეთით აღდგომა, როგორც დღესასწაული, ებრაელთა პასექს იმთავითვე ბუნებრივად დაუკავშირდა და შემუშავდა რწმენა, რომ საიდუმლოთა ეს საიდუმლო წელიწადის ამ მონაკვეთსა და ცივილიზებული მსოფლიოს ამ ქალაქში, იერუსალიმში, შემთხვევით არ მომხდარა. ამ წინადადების აზრი უფრო კარგად რომ გავიგოთ, ორიოდე სიტყვით მაინც უნდა შევეხოთ პასექის ადგილსა და როლს საღვთო ისტორიაში.

,,პასექი“ ეგვიპტიდან, მონობის ქვეყნიდან, რჩეული ერის აღთქმულ ქვეყანაში გადასვლას აღნიშნავს. იგი დაწესებულია გაზაფხულზე, დღეღამტოლობიდან ანუ ბუნიობიდან მთვარის პირველად აღვსების დღეს. ცნობას ამ დღესასწაულის წარმოშობის შესახებ ვხვდებით გამოსვლათა წიგნის მე-12 თავში. იქ აღნიშნულია: უნდა დაიკლას კრავი ძველი აღთქმის რჩეული ხალხის, ისრაელიანთა მოდგმის, გადასარჩენად და ეს წელიწადის პირველი თვის, ე. ი. აბიბის ანუ, იგივე, ნისანის, მე-14 დღეს უნდა მოხდეს. ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით შესრულდა და სრულდებოდა მომდევნო თაობებში, ისე როგორც უფალმა თავის შვილებს, ისრაელიანებს, უბრძანა. ნისანის 14 მაშინ, პირველი პასექის დროს ეგვიპტეში, ასტრონომიული გაზაფხულის პირველი დღე ანუ ბუნიობა იყო. მთვარეც იმ დროს, იმ დღეს, აივსო. ცხადია, ეს შემთხვევით არ მომხდარა. მანამ, სანამ საპასექო კრავი დაიკვლებოდა, ისრაელიანთა ცხოვრებაში ღამე და წყვდიადი იდგა. ეს ხალხი სწორედ ამ ამბის შემდეგ დაადგა აღთქმული ქვეყნისაკენ მიმავალ გზას და მივიდა კიდეც აღთქმულ ქვეყანაში, რომლის ცენტრი არის იერუსალიმი. გავითვალისწინოთ, რომ ძველი აღთქმისა და, კერძოდ, ებრაელთა პასექის ანუ, ზოგადად, ისრაელიანების მონობის ქვეყნიდან აღთქმულ ქვეყანაში, იერუსალიმში, გადასვლის ჭეშმარიტი აზრი და მიზანი ახალ აღთქმაში გაცხადდა. აღმოჩნდა, რომ კრავი, რომელიც ეგვიპტეში დაიკლა (და ასეთი კრავები შემდეგ წლითიწლად იკვლებოდა), განკაცებული ღმერთის, იესო ქრისტეს, წინა სახე იყო; საპასექო კრავი სიმბოლურად ასახიერებდა ღვთის ძეს, რომელმაც კაცთა გამოხსნისათვის ნებაყოფლობით გაწირა თავი იერუსალიმში. ძველი აღთქმის პასექი სხვა არა არის რა, თუ არა ჭეშმარიტად გამომსყიდველი მსხვერპლის ჯვაზე მიტანისა და საფლავად დადების წინასწარი მაუწყებლობა. ჭეშმარიტი ღმერთის ჭეშმარიტ სიკვდილს ჭეშმარიტი აღდგომა მიჰყვა. აქედან გასაგებია, თუ რატომ მიანიჭა უფალმა პასექს ესოდენ დიდი, სამარადისო დღესასწაულის სტატუსი და მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა აღდგომის ფაქტმა გააცხადა და საყოველთაო გახადა.

ამთავითვე დაისმის კითხვა: წელიწადის რომელი დრო და რომელი დღე გამოხატავს პასექის და, მით უმეტეს, ჭეშმარიტი პასექის – იესო ქრისტეს ვნებისა და აღდგომის – შინაარსს ყველაზე ცოცხლად და ხორცსავსედ? პასუხი ადვილად მისაგნებია: გაზაფხული და გაზაფხულის სავსე მთვარე!

მთვარე სხვადასხვა წელს სხვადასხვა დროს ივსება, რის გამოც პასექი მოძრავია და დამოკიდებულია იმაზე, თუ ბუნიობიდან ერთი თვის განმავლობაში როდის აივსება მთვარე. თუკი მთვარე ბუნიობას აივსება, ძველი აღთქმის პასექიც მაშინ აღინიშნება. რადგან უფლის აღდგომა პასექის შემდეგ აღესრულა, ეს დღესასწაული კალენდარში, რაც უკვე ვთქვით, პასექს დაუკავშირდა. ამის გამო მისი თარიღიც მოძრავია და, ებრაელთა პასექის მსგავსად, მთვარის კალენდრის ერთ სრულ ფაზაში მიმოიქცევა.

ვითარება თითქოს მარტივია და სადავოც არაფერია, მაგრამ ისტორია გვასწავლის, რომ საეკლესიო კალენდარში აღდგომის ადგილის განსაზღვრა რთულად წარიმართა და ერთმანეთს ორი ტრადიცია დაუპირისპირდა. პირველს ეწოდება დასავლური ტრადიცია, რომელსაც რომისა და ალექსანდრიის ეკლესიები იცავდა, მეორეს – აღმოსავლური, რომელიც მცირე აზიის ეკლესიებში ინერგებოდა. გაჩნდა ასეთი თეორია: რადგან ძველი აღთქმის საპასექო კრავი ახალი აღთქმის კრავის, ე. ი. იესო ქრისტეს და მისი გამომსყიდველი მსხვერპლის წინასახეა, ძველი და ახალი აღთქმის პასექი ერთსა და იმავე დროს უნდა აღინიშნოს. ამ თეორიის მიხედვით, ჯვარცმა და აღდგომა არსობრივად ერთი და იგივე დღესასწაულია. ამიტომ ისინი უნდა გავაერთიანოთ და ეს დღესასწაული იმ ასტრონომიულ დღეს უნდა გადავიხადოთ, როდესაც ებრაელები პასექს დღესასწაულობენ, – გაზაფხულის ბუნიობიდან მთვარის

პირველად ავსების დღეს. ასეც მოხდა: აღმოსავლეთის ბევრ ეკლესიაში ვნება (ჯვარცმა) და აღდგომა გააერთიანეს, წარმოქმნეს სამდღიანი დღესასწაული, რომელიც ებრაელთა პასექის თანადროულად აღინიშნებოდა. ეს თეორია ერთგვარად აუქმებდა სხვაობას ძველსა და ახალ აღთქმას შორის, რაც მისი გაკრიტიკებისა და დაგმობის საფუძველი გახდა. მას დაუპირისპირდა მეორე ტრადიცია, რომელსაც სამოციქულო ტრადიციას ეძახდნენ და რომლის ჭეშმარიტებას ყველაზე აქტიურად რომის პაპები იცავდნენ. პაპი ბიქტორი (II ს-ის მიწურული) ეკლესიიდან განკვეთით ემუქრებოდა აღმოსავლელ ,,მეიუდეველე" ეპისკოპოსებს, რომლებიც ვნებას და აღდგომას აერთიანებდნენ და ხშირად ისეც აკეთებდნენ, რომ ამ დღესასწაულს გაზაფხულის ბუნიობამდე იწყებდნენ (თუკი მთვარე ბუნიობასთან ერთად აივსებოდა).

სამოციქულო ტრადიციის მიმდევრები ეყრდნობოდნენ მოციქულთა მე-7 კანონს, რომელიც ძველ ქართულ თარგმანში ასე ჟღერს: ,,უკეთუ ვინმე ეპისკოპოსმან, ანუ ხუცესმან, ანუ დიაკონმან წმიდაი დღე აღვსებისაი უწინარეს გაზაფხულისა დღეთაისა ჰურიათა თანა სრულ-ყოს, განიკვეთენ". აღდგომის კალენდრის საკითხზე საგანგებოდ იმსჯელეს პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ნიკეაში 325 წელს. მოციქულთა აღნიშნული კანონისა და რომის პაპების კანონიკური ეპისტოლეების საფუძველზე ნიკეის კრების მონაწილეებმა ასეთი დადგენილება შეიმუშავეს: ქრისტეს აღდგომა უსათუოდ კვირადღეს, კერძოდ, – ასტრონომიული გაზაფხულუს პირველი სავსემთვარის შემდგომ კვირადღეს უნდა ვიდღესასწაულოთ. თუკი მთვარე კვირადღეს აივსება, ე. ი. ებრაელთა პასექი დადგება, აუცილებელია, რომ აღდგომა მომდევნო კვირადღეს გადავიხადოთ, რათა ეს დღესასწაული არ დაემთხვეს (დროში) ებრაელთა (იუდეველთა) პასექს და არავის მოეჩვენოს, რომ ისინი ერთი და იგივე დღესასწაულია. ამდენად, დიდმა და მადლმოსილმა საეკლესიო კრებამ რომაული და ალექსანდრიული სადღესასწაულო პრაქტიკის სისწორე დაადასტურა და მსოფლიოს ყველა ეკლესიაში აღდგომის ერთსა და იმავე დღეს აღნიშვნა დააკანონა.

იმ დროს (IV ს.), როდესაც აღნიშნული კრება შედგა, გაზაფხულის ბუნიობა იულიუსის კალენდრის 21 მარტს მოდიოდა. ამის გამო წმ. მამებმა გაზაფხულის ბუნიობის თარიღად სწორედ 21 მარტი გამოაცხადეს. მათი განსაზღვრებები და დადგენილებები თაობიდან თაობას მყარ ტრადიციად გადაეცა და 21 მარტი წელიწადის სეზონთა მიჯნისა და ორიენტირის კალენდარულ თარიღად იქცა. ამიერიდან ესაა დღე, რომელიც ასტრონომიულ ზამთარსა და გაზაფხულს ჰყოფს. მაგრამ გამოხდა ხანი და ეკლესია მძიმე პრობლემის წინაშე დადგა. იმის გამო, რომ იულიუსის კალენდარში ყოველი 128 წლის მანძილზე ერთი ზედმეტი დღე-ღამე გროვდება, ბუნიობა 21 მარტს მოსწყდა და მისგან გადაინაცვლა. ეს გადანაცვლება (პრეცესია) 2-3 საუკუნის განმავლობაში შეუმჩნეველი დარჩა, მაგრამ ათი საუკუნის შემდეგ მან თავი ვეღარ დაფარა. XV-XVI სს-ში ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ 21 მარტმა ბუნიობას ათი დღით გადაუსწრო. ეს ნიშნავს, რომ იულიუსის კალენდრის 21 მარტი გაზაფხულის ბუნიობას უკვე აღარ ესადაგებოდა; აღნიშნული საუკუნეების 21 მარტი აღარ იყო ის 21 მარტი, რომელიც მსოფლიო კრებამ გაზაფხულის ბუნიობის თარიღად და სააღდგომო ციკლის ათვლის წერტილად გამოაცხადა. ამის გამო დაირღვა აღდგომის (პასქალიის) გამოანგარიშების ის განაწესი, რომელიც კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიამ დააკანონა.

ძველი კალენდარული განაწესის შენარჩუნების სურვილმა დღის წასრიგში მოქმედი კალენდრის კორექტურის საკითხი დააყენა. ეს მისია თავს იდო ტრინტის საეკლესიო კრებამ (1545-1563), რომლის მასალებისა და რეკომენდაციების საფუძველზე პაპმა გრიგორიუს XIII-მ 1582 წლის 24 თებერვალს საგანგებო ბულა (დეკრეტი) გამოსცა. მისი სათაურია ,,Inter Gravissimas", რაც ნიშნავს: ,,მძიმე ვითარების გამო". ასეთი ვითარების მიზეზად დასახელებულია ის გარემოება, რომ კალენდრის მოუწესრიგებლობის გამო მთავარი საეკლესიო დღესასწაულის, აღდგომის, კანონიკური წესისამებრ გამოანგარიშება ვეღარ ხერხდება. რომის პაპი აღნიშნავს: კალენდრის ცდომილებათა გამოსწორება აუცილებელია, რათა ,,აღდგომა იმ წასისა და რიგის მიხედვით ვიდღესასწაულოთ, რაც მოცემულია წმინდა მამების და რომის ადრინდელი პაპების, განსაკუთრებით კი პაპ პიუს I-ისა და ბიქტორ I-ის დადგენილებებში და ასევე, რაც მთავარია, ნიკეის დიდი კრების დადგენილებებში".

იმისათვის, რომ 21 მარტი 21 მარტად დარჩენილიყო და აღდგომის დღესასწაული ეკლესიის მიერ მისთვის განწესებულ ადგილს დაბრუნებოდა, დასავლეთ ევროპაში, ხსენებული ბულის საფუძველზე, კალენდრის რეფორმა განხორციელდა; შეიქმნა იულიუსის კალენდრის ახალი სტილი, რომელიც ცნობილია, ასევე, გრიგორიუსის (გრიგორის, გრიგორისეული, ,,გრიგორიანული") კალენდრის სახელით. ამ კალენდრის მექანიზმი ისეთია, რომ მინიმუმამდეა შემცირებული განსხვავება იულიუსის კალენდრის საშუალო წელიწადსა და ასტრონომიულ (რეალურ) წელიწადს შორის. ამ რეფორმის წყალობით გაზაფხულის ბუნიობა კვლავ 21 მარტზე მოვიდა და ამ გზით შესაძლებელი გახდა აღდგომის შესახებ ნიკეის წმ. კრების კალენდარული განაწესის შესრულება. ამასთანავე (რაც ასევე არსებითია): თუკი ერთი ზედმეტი დღე იულიუსის კალენდრის პირობებში ყოველ 128 წელიწადში გროვდება, გრიგორიუსის კალენდრის პირობებში – ყოველ 3200 წელიწადში, რაც პრაქტიკულად კალენდრის პრობლემის გადაჭრას ნიშნავს.

ბუნიუბა და მისი მომდევნო დღეები არსით და შინაარსით წელიწადის ყველაზე ხალისიანი მონაკვეთია: აღდგომის ბრწყინვალებას თითქოს ბუნებაც უერთებს ხმას. დავაკვირდეთ: რეალური გაზაფხული უკვე დადგა (ასტრონომიული გაზაფხული 21 მარტიდან იწყება), დღე-ღამტოლობამ გადაიარა და დღემ საბოლოოდ გაიმარჯვა ღამეზე; მთვარეც აივსო და ცისკარმა ბუნების გაღვიძება, განახლება და გაცოცხლება გვაუწყა; მომდევნო კვირამ, საუფლო დღემ, ყოველივე ეს თითქოს დაადასტურა და გაცხადა – ქრისტე აღდგა!

აღდგომა არის სიცოცხლისა და მისი გაზაფხულის; მისი განახლების, მისი მარადიული ვსების ნიშანი, რაც აღბეჭდილია არა ერთსა და ორ საგალობელში, საკითხავსა და ქადაგებაში.

უდიდესი საუფლო დღესასწაულების, შობის და აღდგომის, ასტრონომიულ მიჯნებთან და სეზონებთან დაკავშირება ძველი საეკლესიო ტრადიციაა. ამას მოწმობს ისეთი წმ. მამებისა და მასწავლებლების ქადაგებები და ტრაქტატები, როგორებიც არიან: იოანე ოქროპირი, ნეტარი ავგუსტინე, გრიგოლ ნაზიანზელი (ღვთისმეტყველი), გრიგოლ ნოსელი, იუსტინიანე დიდი და სხვანი. მათი ნაშრომები თუ გამონათქვამები, რომლებშიც საუფლო დღესასწაულების შინაარსი ბუნების მოვლენებთან კავშირშია განხილული, ქართულ ენაზე X ს-მდე უთარგმნიათ. ჩვენი წინაპრები მათ, როგორც ჩანს, იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ ისინი ერთად შეკრიბეს და ასე გაავრცელეს. ამას მოწმობს ძველი ქართული ფასდაუდებელი

ხელნაწერები – სვანეთისა და პარხლის მრავალთავები, რომლებშიც, სხვათა შორის, წარმოდგენილია უნიკალური დოკუმენტი – იუსტინიანე იმპერატორის თხზულება ,,დღესასწაულთათვის". მისი ბერძნული დედანი დაკარგულია და იგი მხოლოდ ქართულ ენაზეა შემონახული, რის გამოც ამ თარგმანის მეცნიერული მნიშვნელობა დიდია. იქ გარკვეულია საკითხი, რომლის თანახმად უფლის შობა არა უბრალოდ და შემთხვევით, არამედ საღვთო განგებითაა დაკავშირებული ზამთრის მზებუდობასთან. მზებუდობა ხდება 21 დეკემბერს, როდესაც მზე ,,ბუდიდან გამოსვლას" იწყებს და ეს პროცესი სამი დღის შემდეგ, 25 დეკემბერს, დღის ღამეზე გამარჯვებით მთავრდება. მსჯელობა და მტკიცება, რომ ქრისტეს შობა ,,მზის ბუდიდან გამოსვლის" ჟამს შემთხვევით არ მომხდარა, ლოგიკურად გვკარნახობს, ვთქვათ: არც აღდგომა არ დაკავშირებია შემთხვევით ბუნიობას და ბუნიობის სავსე მთვარეს.

აი, რას გვაუწყებს ამ საკითხზე წმ. მამა გრიგოლ ნოსელი: ,,ახლა, როდესაც ცის შუაგულშია მნათობი, ისე რომ ღამე და დღე თანაბარი ხანგრძლივობით თანაშეეზომება ურთიერთს, ადამიანური ბუნების სიკვდილიდან სიცოცხლისაკენ ზეასვლა საფუძველი ხდება ჩვენთვის იმ დიადი და საყოველთაო დღესასწაულისა, რასაც ერთნაირად დღესასწაულობს ადამიანთა მთელი სიცოცხლე, რომლებმაც ითვისეს აღდგომის საიდუმლო... ხოლო დღესწორობა, შემწყნარებელი სააღდგომო დღესასწაულისა, თავის თავში იმ განმარტებას მოიცავს, რომ მას შემდეგ, რაც თანაბარძალოვნად შეერკინება კეთილს ბოროტება, უკვე აღარ მოხდება გადასვლა საპირისპირო მდგომარეობაში, არამედ იმძლავრებს ნათელი ცხოვრება" (თარგმანი ედიშერ ჭელიძისა).

ნუგზარ პაპუაშვილი

P.S. სხვა გაზეთებიდან

საეკლესიო კალენდრის რეფორმა

ამბროსი ხელაია

1923 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ახალი კალენდარული აღრიცხვის შესახებ დადგენილება მიიღო. ტექსტი პატიმრობაში მყოფი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის მითითებით შეიქმნა:

„შემოღებულ იქმნეს ამა წლის პირველი ნოემბრიდან საქართველოს ეკლესიაში ახალი სტილის კალენდარი. დღესასწაულები, წმიდათა ხსენებანი და მარხვანი ამა წლის 1 ნოემბრიდან დაწესებულია ახალი სტილის კალენდრის თანახმად. 1924 წ. ბრწყინვალე აღდგომა გადახდილ იქმნეს ახალის სტილით".

ამ დადგენილებით საკათალიკოსო საბჭომ გაიზიარა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქ ბასილი მესამის წერილი პატრიარქ ამბროსისადმი. წერილში ბასილი მესამე საქართველოს ეკლესიას თხოვდა, მიებაძა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთვის და ახალ სტილზე გადასულიყო.

1927 წელს ახალ კალენდარზე გადასვლა წმინდა სინოდმაც დაადასტურა. კრება კატეგორიულად მიუთითებდა, რომ გადაწყვეტილება ყველა სასულიერო პირსა და ერისკაცს „მტკიცედ და უცვლელად" უნდა შეესრულებინა.

იმავე წელს საქართველოს ეკლესიამ მსოფლიო პატრიარქის მეორე წერილის გათვალისწინებით, მოძრავი დღესასწაულები კვლავ იულიანური კალენდრით აღნიშნა. შობა და სხვა უძრავი დღესასწაულები კვლავინდებურად ახალი სტილით უნდა აღნიშნულიყო. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ქართულმა ეკლესიამ გადაწყვეტილებების განხორციელება ვერ მოახერხა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამაარსებელ, დეკანოზ კორნელი კეკელიძის აზრით, ძველ ტრადიციებს შეჩვეული მორწმუნეები ერთბაშად ვერ შეძლებდნენ ახალი სტილის შეთვისებას, თუმცა შენიშნავდა, რომ რეფორმებთან შესაგუებლად მიზანმიმართული მუშაობა იყო საჭირო.

მორწმუნეთა განწყობას ასახავს დეკანოზ გიორგი ნასყიდაშვილის წერილი საქართველოს ეკლესიის დროებითი თავმჯდომარის, ქრისტეფორესადმი. როგორც წერილიდან ირკვევა, ნასყიდაშვილს აღშფოთებულმა მორწმუნეებმა განუცხადეს, რომ დიდ საეკლესიო დღესასწაულებს კვლავ ძველი სტილით იზეიმებდნენ.

1928 წლისთვის მრევლი ორად გაიყო – ერთი ნაწილისთვის კალენდრული რეფორმა მისაღები იყო, მეორისთვის კი, არა. ზოგი მორწმუნე მიიჩნევდა, რომ რეფორმა საბჭოთა ხელისუფლების დავალებით ხორციელდებოდა. ეპისკოპოსი ქრისტეფორე ივანე ჯავახიშვილისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ მას რუსეთის ეკლესიის მომხრეობას აბრალებენ, სინამდვილეში კი რუსეთის ეკლესია ახალ კალენდარზე არ გადასულა. კრებას მოუწია, მიბრუნებოდა აღნიშნულ საკითხს და 28 სექტემბერს გადაწყვიტა, საქართველოს ეკლესია ძველ, იულიანურ კალენდარზე დაებრუნებინა, მიზეზად კი მორწმუნეთა „შეუგნებლობა და მოუმზადებლობა" დაასახელა.

მიღებული გადაწყვეტილება ეკლესიის ერთიანობის დაცვასაც ემსახურებოდა, რუსეთის ეკლესია, რომელიც იმ დროისთვის არც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას აღიარებდა და არც ახალ სტილზე გადასულა, ადვილად შეძლებდა უკმაყოფილო მრევლის საკუთარ იურისდიქციაში მოქცევას, რაც ტრაგიკული შედეგი იქნებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის.

ხსენებული ფაქტები მეტყველებს, რომ ახალი სტილის კალენდარი მართლმადიდებელი ეკლესიისთვის არ წარმოადგენდა „ანტიეკლესიურ" და „მწვალებლურ" მოვლენას და რომ არჩევანი ახალ და ძველ კალენდრებს შორის არადოგმატური საკითხია.

დღესდღეობით ახალი სტილით, ანუ გრეგორიანული კალენდრით, უძრავ დღესასწაულებს კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, რუმინეთის, ბულგარეთის კვიპროსის, საბერძნეთის, ალბანეთის, პოლონეთის, ჩეხეთ-სლოვაკეთისა და ფინეთის მართლმადიდებელი ეკლესიები აღნიშნავენ. ძველი სტილის ერთგული, დღევანდელ საქართველოს ეკლესიასთან ერთად, მხოლოდ რუსეთის, სერბეთისა და იერუსალიმის ეკლესიები დარჩა.

ჟურნალი „ტაბულა", 15-21 მარტი, 2010 წ. გვ., 42-43

იეზუიტი მამა გაი კონსოლმანიო (Guy Consolmagno), ცნობილი ასტრონომი, საკუთარ მოსაზრებას გვთავაზობს ბეთლემის ვარსკვლავისა და სამყაროს მომავლის წინასწარმეტყველების შესახებ. საუბარს უძღვება ჟურნალისტი ჯანლუკა ბიჩინი. სტატია ამოღებულია L'Osservatore Romano, 6 gennaio 2010.

2012 წელი - ეს არ არის სამყაროს დასასრული

ნუთუ დინოზავრების ბედს გავიზიარებთ? ალბათ, კი, მაგრამ არა – 2012 წელს! ამიტომ დაწყნარდით, არ ენდოთ მომავალზე „სავარაუდო პროგნოზს", ან მომავლის წინასწარ „განჭვრეტას", რასაც უკვე დაადო ვეტო ბენედიქტე XVI-მ. საიმედო ინფორმაცია მოდის ვატიკანის ობსერვატორიის ცნობილი ასტრონომის, მამა გაი კონსოლმაგნოსაგან. იგი ერთგვარ გაკვეთილს უტარებს უგედურების მომასწავებლებს, რომლებმაც დრო იხელთეს და ამ ეკონომიკურ კრიზისში თავინათი „ოქროს~ საქმეები გამოჩარხეს: საბანკო კოლოსალი 2012 კოტრდება; ხოლო ის სავალალო პროგნოზები, რასაც მაიას ტომის კალენდარს მიაწერენ, მწვანე შუქს უნთებს სამყაროს აღსასრულზე გაცხარებულ საუბრებს. anno Domini, ჩვენი საღვთო წელი) მოყოლებული, წლების ნუმერაციაში ოდნავი ცდომილება არსებობს; ეს VI საუკუნეში დაასკვნა დიონიგე მცირემ. თუკი სახარებებს დავეყრდნობით, შობის თარიღი შეგვიძლია ვივარაუდოთ რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე ქრისტეშობამდე 4 წელი; მიიჩნევენ, რომ ამ წელს მოკვდა მეფე ჰეროდე; ხოლო თუ მწყემსებს დავეყრდნობით, რომლებიც შუაღამით ღია ცის ქვეშ თავიანთ ფარას იცავდნენ, მაშინ დავასკვნით, რომ ეს მოვლენა შეიძლება გაზაფხულზეც მომხდარიყო. სხვას დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვით.

ანუ იმ პერიოდში დამოწმებული ყველა ფენომენი შეიძლება ბეთლემის ვარსკვლავად მივიჩნიოთ?

რამდენიმე ჰიპოთეზა მასში გულისხმოს კომეტას, ან ახალ ვარსკვლავს (ახალი ვარსკვლავი, რომელიც მოულოდნელი ბირთვული აფეთქების შედეგად, ჩვეულებრივზე მეტად კაშკაშებს, – მთარგმნელის შენიშვნა), ან ზეახალ ვარსკვლავს (ზეახალი ვარსკვლავი, ცვალებადი ვარსკვლავი, რომლის ბრწყინვალება ერთბაშად (ერთ–ორ კვირაში) უტოლდება დაახლოებით 20 ვარსკვლავის ბრწყინვალებას, შემდეგ კი ნელ-ნელა იკლებს და პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდება), ან სულაც განსაკუთრებით მანათობელი პლანეტების შეერთებას. ჩვენს დოკუმენტაციაში, რაც იესოს შობის პერიოდს აანალიზებს, ერთაზროვანი ინფორმაცია არ დევს. მაგრამ არც ამით ამოიწურება ყველაფერი; ჩინელი ასტრონომების მიერ აღმოჩენილია სხვა გასათვალისწინებელი მაჩვენებლები. არსებობს რამდენიმე შესაძლებლობა პლანეტების - სატურნისა და იუპიტერის შეერთებისა, ან იუპიტერისა ვარსკვლავ რეგულუს-თან, თუმცა ეს არც ისე ჩვეული ფენომენია და ძნელია მისგან წინასწარ განსაზღვრო მოვლენა, რომელიც აღმოსავლელ ასტროლოგებს მიიზიდავდა.

არსებობს სხვა სარწმუნო თეორიები?

არის ერთი დამაფიქრებელი თეორია, რომელიც ასტრონომ მაიკლ მოლნარს ეკუთვნის, რის მიხედვითაც „აღმოსავლეთის ვარსკვლავი" შეიძლება იმ პლანეტების ნაერთი ყოფილიყო, რომლებიც მზესთან ერთად ამოდიან (heliacal rising). იგი მიიჩნევს, რომ ქრისტეშობამდე 6 წლის 17 აპრილს პლანეტებმა – ვენერამ, სატურნმა, იუპიტერმა და მთვარემ – მზის ამოსვლას ოდნავ დაასწრეს, მათ მალე შეუერთდათ მარსი და მერკური, ვერძის თანავარსკვლავედის ცენტრში.

მოლნარი ვარაუდობს, რომ ყოველივე ამან შეიძლება გავლენა იქონია იმდროინდელ მეცნიერებზე, რომლებსაც სურდათ, განესაზღვრათ სირიის მიმდებარე ტერიტორიაზე მეფის დაბადების ჟამი. თუმცა, ვერც ასეთ შემთხვევაში დაინახავდნენ ისინი პლანეტებს; მხოლოდ ძალიან გამოცდილ ასტროლოგს შეეძლო დაედგინა მათი მდებარეობა და ამის მიხედვით აზრიც ამოეკითხა. ამ საკითხის შესახებ ასტრონომებსა და ისტორიკოსებს შორის ერთსულოვნება არ არის. ყოველ თეორიას ჰყავს თავისი მხარდამჭერი და მოწინააღმდეგე. დაბეჯითებით არასოდეს გვეცოდინება სიმართლე. ეს კარგიცაა.

აი, ამ დროს გვეხმარება რწმენა...

მოგვების შესახებ ისტორიაში უმთავრესი უწყებაა ის, რომ იესოს შობას კოსმიური დანიშნულება ჰქონდა. მისი განკაცების გზით, ღმერთი არა მხოლოდ გამოიხსნის კაცთა სულებს, არამედ, – როგორც წმიდა ათანასე იტყოდა, – „განწმენდს და ამტკიცებს" მთელ ქმნილებას. ღმერთამდე ჩვენ მის მიერვე შექმნილი სამყაროს შესწავლის გზით მივალთ. ამრიგად, მეცნიერის მოვალეობა, რომელიც ფიზიკურ სამყაროში ეძებს ჭეშმარიტებას, თავისთავად წმიდა და საკრალურია.

Fides et ratio – რწმენა და გონება. რა კავშირი აქვს ასტრონომიასთან ისეთ თეოლოგს, როგორიც არის ბენედიქტე XVI?

ყველა ბოლოდროინდელი პაპი უჭერდა მხარს ობსერვატორიაში მიმდინარე სამუშაოებს, მაგრამ პაპი რაცინგერის მხარდაჭერა მართლაც შესაშურია. თავის Angelus- ში, 21. 12. 2008 წ., იგი მსოფლიოში პირველი ლიდერი იყო, ვინც მიესალმა ასტრონომიის საერთაშორისო წელს. 2009 წლის ეპიფანიის სადღესასწაულო ქადაგებაში მან ისევ გამოხატა თავისი მხარდაჭერა და პატივი დაგვდო და დაგვპირდა, რომ მომავალ 30 ოქტომბერს სიტყვით გამოვა ასტრონომთა საერთაშორისო შეხვედრაზე.

ასტრონომიის მიმართ მისი ინტერესის კონკრეტული მაგალითია ობსერვატორიის ახალი ადგილი კასტელ განდოლფოს ბაღში, რომელიც გახსნა ბენედიქტე XVI-მ გასული წლის 16 სექტემბერს.

რომელი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენა ამ პერიოდში? იქნებ მაგალითი მოგეყვანათ?

აღმოჩენა გახლდათ 2008 წლის ოქტომბერში დედამიწის ატმოსფეროს ზედა ნაწილზე პატარა ასტეროიდი, რომელსაც მანამდე ვადევნებდით თვალს, სანამ სუდანის უდაბნოს ჩრდილოეთით არ ჩამოვარდა. ამ წელს დავასრულეთ და გამოვაქვეყნეთ მეცნიერული შედეგები, რომლებიც უშუალოდ შეეხებიან უდაბნოში ასტეროიდული ნაწილების ჩამოვარდნას და მათი ვარდნის დროს ობიექტზე სხვადასხვა დაკვირვებების შედარებას. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი 2009 წლის მსოფლიო ასტრონომიაში საიმედო შედეგებია, მიუხედავად იმისა რომ ეს მოვლენა გასულ წელს მოხდა.

ჩვენ ვერასოდეს ვირწმუნებდით მთვარეზე წყლის არსებობას...

ეს უდავოდ ამაღელვებელი აღმოჩენა იყო: ინდოეთიდან გაშვებულმა კოსმოსურმა თანამგზავრმა სატელიტის ირგვლივ მყოფ ორბიტაზე ინფრაწითელ სპექტრებში მიაგნო ზედაპირის ანარეკლს, რაც წყლის არსებობას მოასწავებდა. ეს აღმოჩენა დადასტურდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მეცნიერებმა ხელახლა გააანალიზეს სპექტრები, რომელიც გაიზომა იმ კოსმოსური თანამგზავრით, რომელმაც წინა წელს მთვარეს გვერდით ჩაუარა. აქ კი სიფრთხილეა საჭირო: კოსმოსური თანამგზავრის მიერ მთვარის ზედაპირის მტვერში აღმოჩენილი რაოდენობა მხოლოდ წყლის წვეთია ყოველ ერთ ლიტრ მთვარის მტვერთან. და მაინც, გვგონია, რომ ცოტა მეტი წყალია კრატერებში, მთვარის პოლარული რეგიონის ჩრდილში.

ეს წყალი საკმარისია კაცობრიობისთვის, მომავალში მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

სავარაუდოდ, კი.

ეს კარგი ამბავია, მით უფრო, პლანეტის იძულებითი ევაკუაციის შემთხვევაში. სხვათა შორის, ფილმები, ჰოროსკოპები და წიგნები ყოველთვის შეგვახსენებენ, რომ უარესისთვის უნდა მოვემზადოთ.

კაცობრიობის გარიჟრაჟიდან ადამიანები წინასწარმეტყველებენ სამყაროს აღსასრულს. დღემდე არც ერთი თეორია არ გამოდგა მართალი. არანაირი მოტივი არ არსებობს იმისათვის, რომ გვჯეროდეს 2012 წელთან დაკავშირებული თეორიები. მაგრამ თუ ადვილად გვეცინება ამ სულელურ შიშზე, მის შიგნით სერიოზული საშიშროება იმალება: ამგვარი რწმენა იმიტომ გვიპყრობს, რომ ყველას გვაქვს ცდუნება, ვფლობდეთ „საიდუმლო ცოდნას“ მომავალის შესახებ, თითქოს ეს სხვებზე მეტ ძლიერებას გვძენდეს. სინამდვილეში, ეს ცუდი მეცნიერების, ან ცუდი რელიგიის სიგნალია და სხვა არაფერი.

მაგრამ შეუძლია თუ არა ასტრონომიას მომავლის წინასწარმეტყველება, ისე რომ ასტროლოგიაში არ გადაეშვას?

რა თქმა უნდა, შეუძლია, ოღონდ იმ თვალსაზრისით, რომ ზეციურ ფენომენებზე დაკვირვება დაგვეხმარება, ვივარაუდოთ ის შესაძლო კატასტროფები, რაშიც დარწმუნებულები ვიქნებით. სხვათა შორის, კომეტები და ასტეროიდები დედამიწაზე განუწყვეტლივ ეცემა.

მეტწილად ეს ეხება პატარ-პატარა სხეულებს, რომლებიც ისე ეცემიან, რომ არც კი ვაკვირდებით. მაგრამ ისეთი დიდი მოვლენა, რომელიც მოხდა ციმბირში, ტუნგუსკის მიდამოებში, 1908 წელს და ატომური ბომბის მსგავსი აფეთქება გამოიწვია, შეიძლება საუკუნეში ერთი დაფიქსირდეს.

ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ დინოზავრების ბედს გავიზიარებთ და ამ ფაქტს არ ვუწევთ ანგარიშს?

იმ შეჯახების ერთეული, რამაც გადაშენების პირას მიიყვანა დინოზავრები 65 მილიონი წლის წინათ, სავარაუდოდ, ხდება ყოველ ას მილიონ წელიწადში ერთხელ.

მაშინ რაში გვჭირდება ასეთი ავანგარდული ტელესკოპები?

შეგვიძლია, მილიონი წელი მშვიდად ვიყოთ...

მართალია, ეს ფენომენი იშვიათად ხდება, მაგრამ საჭიროა ცაზე დაკვირვებები და იმის განსაზღვრა, ჩვენთვის ცნობილი ამ ასიათასი ასტეროიდიდან მომავალში, სავარაუდოდ, რომელიმემ არ გადასეროს დედამიწის ორბიტა; ასევე საჭიროა, შევისწავლოთ ამ ასტეროიდებისა და კომეტების შედგენილობა, რაც დაგვეხმარება, თავიდან ავიცილოთ ჩვენს პლანეტესთან მათი შეჯახება.

თუმცა, სანამ გარე საშიშროებებზე ვიზრუნებთ, ალბათ, უკეთესი იქნება, დედამიწა ადამიანის ხელყოფისაგან დავიცვათ.

რასაკვირველია. ჩვენი ცხოვრება უფრო მეტად ხდება ტექნოლოგიაზე დამოკიდებული. ჰიდროლოგიური, ენერგეტიკული სისტემები, საზოგადო ტრანსპორტი – ყველაფერი ეს აუცილებელია ჩვენი ნორმალური ცხოვრებისათვის. საბოლოოდ, ჩვენ, ყველანი, ერთმანეთზე ვართ დამოკიდებულნი. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ვეღარ ვიცხოვრებთ ეგოისტურად, რადგანაც ჩვენ უკვე ჩვენი მოძმეების დამცველები ვართ.

თავად ბენედიქტე XVI-მ წლევანდელი მშვიდობის მსოფლიო დღე მუძღვნა თემას: „თუ გინდა მშვიდობა, დაიცავი ქმნილება“.

პაპს შეგნებული აქვს, რომ ჩვენ შეგვიძლია გარემო კატასტროფების გამოწვევა, ან შეფერხება იმ გზით, რა გზითაც დედამიწას ვეპყრობით. სამწუხაროდ, გლობალური დათბობის თემამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო და ხშირად გადაჭარბებულ პოზიციებზე საუბრობენ. ცხადია, ადამიანური მოღვაწეობის გარდა, მრავალი ფაქტორი იწვევს გლობალურ დათბობას, მაგრამ ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია ვაკონტროლოთ, ჩვენი საქმეებია.

ამასობაში როგორ მოვიქცეთ?

არავითარი პანიკა. საკმარისია, ვიყოთ წინდახედულები და მივიღოთ ორი ზომა, რითაც გავზრდით იმის შესაძლებლობას, რომ ვიცხოვრებთ ხანგრძლივად და ჯანმრთელად: თავი დავანებოთ მოწევას და გადავიკრათ უსაფრთხოების ღვედები.

იტალიურიდან თარგმნა
ლალი ჩარკვიანმა

თქვენი აზრი „საბას“ შესახებ

ერთი დღე „საბას“ მკითხველთან

აპრილის თვეში ჟურნალ „საბას“ წინა თვის ნომრის განხილვა ვალეს საკრებულოს ხვდა წილად.

კვირას, წირვის შემდეგ, თითქმის მრევლის ყველა წევრი დარჩა ეკლესიაში, რათა გამოეთქვა საკუთარი აზრი ჟურნალის შესახებ. მრევლის ხანდაზმულმა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ „საბა“ არის ერთადერთი ინფორმაციის წყარო, საიდანაც შეიძლება გაიგონ, რას აკეთებს კათოლიკე ეკლესია დღეს საქართველოში, მაშინ როდესაც საქართველოს ტელე-რადიო სივრცეში და მასმედიის სხვა საინფორმაციო გამოცემებში არაფერი იწერება საქართველოში მოქმედ კათოლიკურ ეკლესიაზე და ორგანიზაციებზე.

შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს ჟურნალის დახვეწილ დიზაინზე, მის შინაარსზე. განსაკუთრებული სიმპათიით არიან განწყობილნი მამა გაბრიელე ბრაგანტინის სტატიების მიმართ. ასევე, გამოითქვა სურვილი, რომ კარგი იქნებოდა, მეტი ინფორმაცია იბეჭდებოდეს სხვადასხვა კათოლიკური საკრებულოების ცხოვრებაზე. ქალბატონ მედეას აზრით, სასურველი იქნებოდა, „საბაში“ ყოფილიყო რუბრიკა – „შეკითხვა ექიმს“, სადაც კომპეტენტური და კვალიფიციური ექიმი უპასუხებდა მკითხველთა შეკითხვებს.

ახალგაზრდებმაც გამოთქვეს აზრი ჟურნალის შესახებ. ისინი ძირითადად კმაყოფილნი არიან ახალგაზრდული გვერდით, მაგრამ მაინც აქვთ უკმარისობის გრძნობა, რადგანაც შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ახალგაზრდული საბჭოსა და რედაქციის ერთობლივი მუშაობით უფრო უკეთესი შედეგის მიღწევაა შესაძლებელი. ასევე, მათი სურვილია, რომ ჟურნალიდან რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია შიტყონ კათოლიკური და მართლმადიდებლური კონფესიების შესახებ, იცოდნენ მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. ახალგაზრდებს ასევე აინტერესებთ გამოჩენილი კათოლიკე წინაპრების ცხოვრების, შემოქმედებისა და მათი მოღვაწეობის უფრო ფართოდ გაცნობა-შესწავლა, რათა ღირსეულად გააგრძელონ მათ მიერ დაწყებული საქმე.

ვიმედოვნებ, მომავალში ჟურნალი „საბა“ უფრო საინტერესო გახდება და გაახარებს მკითხველთა გულს.

შეხვედრის ბოლოს, მრევლის ყველა წევრი, ჟურნალით ხელდამშვენებული, გაეშურა შინისაკენ.

თამრიკო ჩიტაშვილი

ვალე

განცხადება

თბილისის III საერთაშორისო სიმპოზიუმი ბიოეთიკაში

პალიატიური პრობლემები ევთანაზია და ქრისტიანული სწავლება

2010 წელი, 18-19 მაისი

სიმპოზიუმში მონაწილეობის მსურველებმა წერილობითი განაცხადი უნდა წარმოადგინონ სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტში 2009 წლის 25 აპრილამდე.

განაცხადთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს მონაწილის CV, მოხსენების თეზისები, რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

სიმპოზიუმზე წარმოდგენლი ნაშრომი არ უნდა აღემატებოდეს 8 გვერდს, შრიფტი – AcadNusx და Times New Roman (ზომა 12).

საკონტაქტო ტელ. 989516; 898293977; E-მაილ:religion.ge@yahoo.com

სამუშაო ენებია: ქართული, ინგლისური, იტალიური.

მისამართი: თბილისი, გ. აბესაძის ქ. N 6, სულხან-საბა ორბელიანის სახ. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი.

ახალი წიგნები

გამომცემლობა „მერედიანმა“ გამოსცა პროფესორ ია ხუბაშვილის სქელტანიანი ნაშრომი „იეზუიტების ორდენი“.

ავტორმა წიგნს ეპიგრაფად წარუმძღვარა ე. შმურლოს ფრაზა „... ისტორია არ ასამართლებს. მის წინაშე არ არიან არც უდანაშაულონი, და არც დამნაშავეები; ის მხოლოდ ხსნის ადამიანთა საქციელს“.

ნაშრომში განხილულია სასულიერო ორდენებს შორის ერთ-ერთი უძლიერესი ორგანიზაციის – იესოს საზოგადოების (იეზუიტთა ორდენის) გენეზისი და ევოლუცია, მისი საქმიანობის ყველა მნიშვნელოვანი ეტაპი როგორც ევროპის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც. ორდენმა, თავისი არსებობის მანძილზე, უდიდესი როლი შეასრულა საგანმანათლებლო, მისიონერულ და პოლიტიკის სფეროში, და დღესაც წარმატებით აგრძელებს საქმიანობას.

ნაშრომი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

წიგნის რედაქტორია პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მურმან პაპაშვილი, რეცენზენტი - მამა გაბრიელე ბრაგანტინი.

სარჩევი

ეპისკოპოსის სააღდგომო მიმართვა 2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 3
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 5
ჩემი მღვდელი 6
საარქივო მასალები 7
საუბარი მოძღვართან 10
აქტუალური თემა..... 13
ინტერვიუ 16
თქვენი აზრი "საბას" შესახებ.....17
ინფორმაცია 18
ახალგაზრდული გვერდი 19
საგანგებო ჩანართი: ..... I-IV

განუსვენე მათ, უფალო

თამარ გალახაშვილი
* 01. 07. 1932 – უდე
† 20. 02. 2010 – უდე

ნინა ფეიძრიშვილი
* 21. 05. 1925 – არალი
† 17. 02. 2010 – არალი

ეკატერინე ვიატკინა
* 17. 07. 1925 – ქ. უსტანაი
† 28. 01. 2010 – ბორჯომი

გივი მამუკაშვილი
* 04. 05. 1947 – გორი
† 09. 02. 2010 – გორი

ანტონ გოზალოვი
* 15. 07. 1931 – ვალე
† 07. 03. 2010 – ვალე

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ
© „საბა", 2010

საინტერესო და სასარგებლო დღეები ბაკურიანში

2010 წლის 30 იანვარს, დილის 9 საათზე, სოფ. არალის წმ. იოსების სახელობის ეკლესიაში ორმოცდაათამდე ახალგაზრდა შეიკრიბა. წმ. წირვა, რომელიც

მ. მიხეილ სურმავამ აღავლინა, გალობის სასიამოვნო ჰანგებით დაიწყო. მან შეკრებილ ახალგაზრდებს ბაკურიანისაკენ მიმავალი გზა დაგვილოცა, და ჩვენც მხიარული ყიჟინითა და ახალგაზრდული შემართებით გავეშურეთ საქართველოს ზამთრის ულამაზესი კურორტისაკენ.

უკვე მეორე წელია, რაც არალის საკრებულოს ახალგაზრდებს შესაძლებლობა გვაქვს, დავტკბეთ ბორჯომ-ბაკურიანის თვალწარმტაცი ბუნებით. მთელი ამ ხნის განმავლობაში ახალგაზრდების გვერდით ყოველთვის იდგა მამა მიხეილი, რომელიც ყველა სიახლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია. სწორედ მამა მიხეილის მეოხებით გახდა შესაძლებელი, ეს ზამთარი კარგ სასტუმროში და უკეთეს პირობებში გაგვეტარებინა. მისი ზრუნვის შედეგია, რომ უამრავი „დაკარგული“ ახალგაზრდა მიიყვანა და დააბრუნა ეკლესიაში (მაგ. პირადად მე).

მგზავრობამ ცოტა დაგვღალა. სადილის შემდეგ, ყველანი (ჩვენ- ჩვენს მეგობრებთან ერთად) პარკში წავედით. იქ ბორანი, თხილამურები, ტირი და სხვა გასართობები გველოდა. აქ ჩვენ დაუვიწყარი წუთები გავატარეთ და უდიდესი სიამოვნება განვიცადეთ. რაც მთავარია, უდესა და არალის საკრებულოს ახალგაზრდებს ერთმანეთის უკეთ გაცნობის, დამეგობრებისა და ახალი ურთიერთობების დამყარების საშუალება მოგვეცა, რაც ნამდვილად გამოგვივიდა.

მ. მიხეილმა საინტერესო დავალება მოგვცა ახალგაზრდებს: ჩვენ, პატარ-პატარა ჯგუფებად დაყოფილებს, ერთმანეთისათვის უნდა გაგვეზიარებინა, რას ნიშნავდა ჩვენთვის დრო, სიყვარული, ურთიერთობა. დავალება არა მარტო საინტერესო, არამედ სასარგებლოც აღმოჩნდა. შემდეგ კი ჯგუფიდან თითო წარმომადგენელმა (სადაც გოგონები აქტიურობდნენ), ერთმანეთს გავაცანით საკუთარი მოსაზრებები.

ორმა დღემ თვალის დახამხამებაში გაირბინა. ამ პერიოდში ჩვენს გვერდით იყო ახალგაზრდების გულთბილი მეგობარი, დიაკვანი იოსებ ტარზიანი, რა თქმა უნდა, მამა მიხეილი და ჩვენი მძღოლები, ბ-ნი ვაჟა და ბ-ნი რამაზი.

უღრმესი მადლობა ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს ჩვენდამი გამოვლენილი დიდი სიყვარულისა და სითბოსათვის, იმისათვის რომ ყოველთვის ზრუნავს ახალგაზრდებზე.

მამა მიხეილ სურმავაზე კი ბევრს არ ვილაპარაკებ, მხოლოდ ერთს ვიტყვი: ის ახალი სიტყვაა უდე-არალის საკრებულოს ისტორიაში – „ჩაასხით ახალი ღვინო ახალ ტიკებში“. კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს ჩვენს საკრებულოში ასეთი მწყემსის დანიშვნისთვის. მადლობა მ. იეჟის, რადგან ის ყოველთვის ლოცულობს ჩვენთვის და მართლაც

რომ მამასავით ზრუნავს ახალგაზრდებზე და თავის მრევლზე. ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ მას.

31 იანვარს გულდაწყვეტილებმა დავტოვეთ ბაკურიანი, მაგრამ იმის იმედით, რომ კვლავაც ვესტუმრებით მას. რადგანაც კვირა დღე იყო, მ. მიხეილმა წმ. წირვა აღავლინა და კვლავაც „დაგვაპურა“ ჩვეული „ნოყიერი“ ქადაგებით.

წმ. წირვის შემდეგ, სახლებში დავბრუნდით, მართლაც რომ ბევრი გვქონდა მოსაყოლი.

მარინა ჭაღიაშვილი

უდე